



საკოლბითკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა ღამე

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუზღავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუზღავ. 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მან. სამი თვით გაუზღავ. 2 მან., გაგზავნით 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა მაილება: თფლისში „წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „Квали“.

შინაპასი: ჩვენი საკირ-ბორტო კითხვები ნ. ჟორდანიასი.—ხვა-და-სხვა ამბები.—„კვალი“-ს კორესპონდენციები.—პოლიტიკური მიმოხილვა.—რა მაწუხებს? ლექსი კატო მიქელაძისა.—მცირე შენიშვნა კარ. მოდებაძისა.—ქართული თეატრის შენობის საქმე.—ხელოვნება და მისი მიზანი (შემდეგი) ივ. გომართლისა.—პირველი ლექცია ა. ს. ხახანაშვილისა ი. წ—სა.—პასუხი ბ-ნ ლაოს ს. ფირცხალავასი.—წერილი რედაქციის მიმართ.—შეცდომის გასწორება და განცხადებები.

ჩვენი უთანხმოება.



I

შვიათია ისეთი ქართველი, რომელსაც ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესობა და განვითარება არ სურდეს. თითოეული ჩვენგანი ნატრობს ჩვენი ქვეყნის აღორძინებას და აყვავებას. აქ, ამ კითხვაში, ყველა გულწრფელი და პატიოსანი მუშაკი ერთდება და ერთი მიზნით აღფრთოვანებული საზოგადო საქმეს მხნეთ ეკიდება. პირველი კითხვა, რომელიც იპყრობს მის ყურადღებას, არის შემდეგი: რა გზით, რა საშუალებით შეიძლება ამ მთავარი ლტოლვილების განხორციელება? და აი, აქ თითოეული თავისებურ პასუხს იძლევა და ამით გვატყობინებს, სხვა-და-სხვა აზრის ვართო. და მართლაც, არსად იმდენი აზრთა სხვა-და-სხვაობა არ არსებობს ამ

ძირითადი კითხვების შესახებ, რამდენიც ჩვენში. ჩვენ ჯერ უბრალო, თავის-თავათ საგულისხმო, საგნების შესახება ვერ შევთანხმებულვართ და ერთი შეხედულობა ვერ დაგვიდგენია. ის, რაც აღარსად სადაო არ არის, ჩვენში დიდ ბრძოლას და ალიაქოთს იწვევს; ის, რაც ყველგან კაი ხანია გადაჭრილ-გათავებულია, აქ დაუსრულებელ შეჯახებას ბადებს. სხვებისაგან არაფერს ვსწავლობთ და არც გვინდა ვისწავლოთ, ჩვენსას არაფერს ვიგებთ და არც გვინდა გავიგოთ. და ასე მოშორებული მოწინავე აზრთა მიმდინარეობას, მოცილებული ჩვენივე თავის გაგებას—ვართ ერთ აღგილას გაჩერებული და ვიძახით ერთ და იმავეს—დაჟინებული. ამისათვის, ხშირათ, ძალიან ხშირათ, ამტკიცებ ისეთ რასმეს, რაც დამტკიცებას არ უნდა თხოულობდეს, არკვევ და ასაბუთებ ისეთ კითხვას, რაც უამისოთაც ნათელი უნდა იყოს, შრომობ და ოფლს ღვრი ისეთ საგანზე, რაც თავისთავათ აშკარა უნდა იყოს.—ერთი სიტყვით, ჩვენი გონებრივი დაცემა და დაუძლიერება გასაოცარია, ჩვენი უკან ჩამორჩენა და ერთ წერტილზე გაყინება გასაშტერებელია. და


როცა ასში ერთი მეცადინეობს წინ წავიდეს და ამ სამარცხვინო მდგომარეობას თავი დაახწიოს, ოთხმოცდა ცხრამეტი უკან აფრინდება და თავისკენ წევს, მოიცა, სად მივხეტებიო. ასეთ ფხიზელადამიანს მწერლობაშიაც სასაცილოთ იღებენ, შეხედეთ როგორ ატაცებულა, სად მიდის თვითონ არ იცისო და ამით ეს, სხვა ქვეყანაში წინსვლლობის იარაღი, ჩვენში უკან ჩამორჩენის იარაღათ ხდება. ამ ნაირათ, საზოგადოების და მწერლობის კონსერვატული ნაწილი შეერთებულა და ჩვენ ბნელეთს დარაჯათ დადგომია, არ გაბედოთ აქედან გასვლაო...

აბა სად გამოიწვევს წინააღმდეგობას, თუ არ ჩვენში, ის, რომ ცხოვრების განვითარება უნდა მოხდეს ცხოვრების კრიტიკით, მწერლობის განახლება მწერლობის მხილებით და მოღვაწეობის გაფაქიზება მოღვაწეობისვე ზნეობრივით გაწმენდით. რა ნაირათ შეიძლება ახალი ურთიერთობა დაამყაროს ისე, რომ ძველი არ დაარღვიოს, თანამედროვე აზროვნება შეეთვისოს ისე, რომ ძველ აზრებს არ გამოესალმოს, საქმიანობა გამოიჩინოს ისე, რომ უსაქმობა არ უარყუოს? მოინდომეთ, რომელიმე ამათგანის განხორციელება და თქვენ ყოველი მხრიდან პირზე ხელს მოგაფარებენ, სსუ, გაჩუმდითო! ეს სსუ-მწერლები თანდათან მრავლდებიან ჩვენში და ლამის არის გადაგვაყრუონ. ამათ რომ აკვებოთ, ცხოვრების ნიშან-წყალი უნდა მოვისპოვოთ, სამარე გავითხაროთ და შიგ სამუდამოთ განვისვენოთ. მათ ბრძოლა ჭირივით ეჯავრებათ, იმიტომ რომ დარწმუნებული არ არიან თავის ძალაში; კრიტიკა მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნიათ, იმიტომ რომ დარწმუნებული არ არიან თავის მოქმედებაში. და მართლაც ის, რომელიც შორიდან ბუმბერაზათ გეჩვენება, ერთი ხელის მიკარებით ქონდრის კაცათ ხდება და მწვერვალზე მჯდომი დაბლა ვარდება. ეს, რასაკვირველია, არ მოსწონთ კერპთაყვანისმცემელთ და მეცადინეობენ არმაზის კერპები ისევე არმაზზე აღმართონ. მათ ვერ წარმოუდგენიათ თავისი თავი უკერპოთ და სურთ ის ხალხსაც თავზე მოახვიონ. მათი აზრით ხალხს თითო-ოროლი საფრთხუნალა უთუოთ უნდა ჰქონდეს, და თუ არ აქვს, უეჭველათ უნდა შეუქმნა. და აი, ამ უნაყოფო მუშაობაში არიან ისინი ამ ჟამათ...

არიან აგრეთვე მეორე ჯურის „სსუ-მწერლები“. იმათ არა რწამთ კერპთაყვანისმცემლობა, კარგათ იციან რა ხალხიც ბრძანდებიან არმაზის ღმერთები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამათ საქიროთ თვლიან, საქიროთ—არა თავისთვის, არამედ სხვისთვის, გარეშეებისათვის. გარეშეების წინაშე თავის მოსაწონებლათ ისინი უნდა გამოვაჩინოთ და გამო-

ვაცხადოთ, აი რა ბუმბერაზი მოღვაწეობს ვაჟაფშო. ე. ი. ეს გარეშეები ისეთი ბრიყვებია, რომ რასაც ჩაეძახებთ იმას ამოიძახებენო! აი როგორ ვფიქრობთ სხვების მოტყუებას, მაგრამ ნამდვილათ კი ჩვენ თავს ვატყუებთ. ისინი, რასაკვირველია, ჩვენი სიტყვით არ დაკმაყოფილდებიან და საქმეშიაც გამოგვცდიან, ხოლო საქმისა არა გაგვეგება-რა. არა გაგვეგება რა იმიტომ, რომ ჩვენ უსაქმობას ხელს ვაფარებთ, უხეარო მოღვაწეობას სახეიროთ აღვიარებთ, შეცდომებს ღირსებათ ვღებულობთ და აბა, ერთი მითხარით ასეთ პირობებში რომელი ისწავლის ნამდვილ და სასარგებლო მოღვაწეობას? თუ კი ჩვენ თავს ჩვენვე არ ვამზადებთ, ჩვენვე არ ვწრავნით და არ ვაფრთხილებთ, განა სხვები გაგვეწრთენიან, გაგვამაგრებენ და გვასწავლიან? წყარო ხალხის წარმატებისა თვითონ ხალხშივე სცემს, ძარღვი ერის მოძრაობისა თვითონ ერშივე მუშაობს. მიეცით გზა ამ წყაროს ნაკადულებს, ნუ გადაელობებით წინ მას და ხალხი თვითონ გამოიჩენს თავს, თვითონ მიიპყრობს ყველას ყურადღებას. ის თავის გულიდან მოგვცემს ნამდვილ მოღვაწეთ და ქვეყნისათვის თავდადებულთ. აი, ამით მართლაც თავს ვისახელებთ. ცხადია, მუშაობა შიგნით უფრო გვმართებს, ვინც გარეთ, ჩვენზე ხელიდან უფრო უნდა გამოველოდეთ წარმატებას, ვინც გარეშეებიდან. თვარა, შიგნით ფუქსავატობა და გარეთ ხელის გაშვერა—მათხოვარსავით—ვერათფერი საფუძველია ჩვენი მერმისის. და თუ ამას ზოგი ებღაუჭება, ჩვენი ხალხი, მადლობა ღმერთს, ამ გზას არ ადგია და საკუთარი ძალ-ღონით სურს გზა გაიკვლიოს.

ბევრს ჰგონია, ვითომ შინაური უთანხმოება და ბრძოლა გვასუსტებსო. ეს ერთიანათ უსაფუძვლოა. პირიქით, შინაგანი უთანხმოება უფრო გვაფხიზლებს, გვაფიქრებს, ძალას და ღონეს გვიმატებს და გვაძლიერებს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ცხოვრება ერთ წერტილზე არ არის გაყინული, ის მოძრაობს, ვითარდება და იზრდება. რაც უფრო საქმიანი და პირუთვნელი იქნება თავის თავის კრიტიკა, მით უფრო მეტ ენერგიას მოვიკრებთ, მით უფრო სახელოვან მოღვაწეთ აღმოვაცენებთ, მით უფრო წინ წავიწვევით და ავლორძინდებით. ასეთივე აზრი გამოითქვა ჩვენ პროგრესიულ პრესაში ამ ოცი წლის წინეთ და საუბედუროთ დღესაც ეს ბევრისათვის სადაოთ არის გადაქცეული. 1876 წ. როცა ჩვენ მოღვაწეთა შორის დიდი უთანხმოება და კამათი ჩამოვარდა, ზოგი უსაყვედურებდა მოკამათეთ, გაჩუმდით, ერთმანეთს ნუ ელავებით, თვარა ამით მტრები ისარგებლებენო. აი რა დასწერა „დროებამ“ ამის პასუხათ:



„...ყოველად შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმატება და საზოგადო აზრის გაუკეთებლობა, თუ ჩვენ დი.ციპლინათ იმას მივიღებთ, რომ გავჩუმდეთ, ხმას ნუ ამოვიღებთ, მტერი გვიტყუროს და გაიხარებოდეს. ჩვენ სხვანაირი განხარების უნდა გვეწინოდეს მტრის მხრით, იმ განხარების, რომელიც წარმოებს ჩვენი აზრის სისუსტისაგან და ჩვენი რაზმის უხეირო წაყვანა-წამოყვანისაგან. ჩვენში ბევრია ისეთი ყმაწვილები, რომელნიც სარგებლობენ ამ ჩვენი მდგომარეობით და ამ საქრობით: „სუ, ხმას ნუ ამოვიღებთ!“ ეს ყმაწვილები დღესაც იმ აზრებს და სიტყვებს იმეორებენ, რომელნიც სწავლაში და ქვეყანაში ამ ოცი წლის წინეთ იყვნენ მიღებული. ჩვენი მტრები წინ წავიდნენ, წარმატებაში შევედნენ, დაძლიერდნენ და ჩვენ კი უმოძრაოთ უნდა ვიჯდეთ, ხმას არ უნდა ვიღებდეთ, დადუმებულნი უნდა უტყუროდეთ ჩვენს სისუსტეს და უხეირობას? რა გამოვა ამისგან? ის რომ ნამდვილი ბრძოლის დღეს ჩვენ უაზრონი და სუსტნი ვიქნებით, შეცდომებში ჩავარდებით, მაშინ როდესაც მტერი აზრ-ნათლიანი და გონიერი იქნება. ეს უნდა ვქნათ განა?

„არა, ყოველ გონიერ კაცს ჩვენში მოვალეობა აქვს არ დაუფაროს თავის საზოგადოებას აზრი და შეხედულობა საზოგადო საქრობაზე და საქმეებზე. ამხანაგობაში (ე. ი. ქართ. მწერლობაში) ამ გვარი აზრი უნდა გამოითქვას თავისუფლათ, მოუჩინებლათ; ეს არავისთვის საწყენი და სათაკილო არ უნდა იქნეს. და როცა ზოგიერთები იმას დაიჯინებენ, რომ ჩვენ შეუცდომედნი ვართო, რომის პაპისავით, რომ ჩვენს აზრს და შეხედულობას ნურავინ დაიწუნებსო, გინდ ვცდებოდეთ, გინდ საქმეს ვახდენდეთ და ქვეყანას ვაბრკოლებდეთ, ყველანი დაჩუმდნენ და ყველამ ტაში დაგვიკრასო —ეს დისციპლინა კი არ არის, ეს დესპოტიზმი და ხვანთქრობაა. ამას ადვილათ დაემორჩილება მონა და არა გონიერი კაცი. ჩვენ რიცხვით, ძალით, ოინობით ვერაფერს ვერასოდეს ვერ გავიტანთ და თუნდ გავიტანოთ, ვიდ იმისთანა გატანას, ჩვენი წინააღმდეგნი რიცხვით და ძალით ათასჯერ უფრო მეტნი და ძლიერნი არიან ჩვენზე. ერთი იარაღი გვაქვს ჩვენ, მარტო ერთი—აზრის სისწორე, სინიღისის სიმართლე, გონიერება, საქმის სიწმინდე. მარტო ამით შეგვიძლია ჩვენ გავიმარჯვოთ, შემდეგში, მომავალში, როდისმე. მაშ ჩვენ უმანკოთ და გაუსერელათ უნდა შევინახოთ ეს ჩვენი მხოლოდი იარაღი, თორემ იმ დღეს როცა ჩვენი მტერნი, რიცხვით და ძალით ძლიერნი, ჩვენს წინააღმდეგ სიმართლესაც მოიპოვებენ, ჩვენი საქმე ფიზიკურათ და ხეობითაც დაღუპული იქნება.

„ქვეყანა იმდენათ ბრმა და ყრუ როდია, რომ ჩვენი შეცდომები ან უხეირობა ვერ დაინახოს თვითონ, ჩვენ რომ ამავებზე მუნჯსავით გავჩუმდეთ. სირაქლემასავით, ჩვენ რომ თავი ბუჩქებში დავმალოთ, მტერი მაინც დაგვინახავს და მაინც დაგვაპარცხებს. ათასჯერ და ათათასჯერ სჯობია რომ ჩვენი სისუსტე გამოვიკვლიოთ, ჩვენი სიმრუდე თვითონვე გავისწოროთ და მაშინ უფრო ძლიერი ვიქნებით მტრის წინააღმდეგ, ვინემ დღესა ვართ...

„...უნდა ვცდილობდეთ რომ არც ერთი ჩვენგანი არ შეიქმნეს უაზრო იარაღათ სხვის ხელში, როცა ამ სხვას ამოქმედებს არა გონიერი სიყვარული, არამედ ავთომყოფურათ გასივებული თავმოყვარეობა... რათ ვა-

ტყუოთ ქვეყანა, რათ აუხვიოთ მტერსა და მოყვარეს თვალი? მტერი ჩვენ მაინც არ გვიჯეროს და თვითონ ცდილობს ჩვენი გარემოების შეტყობას და მოყვარენი კი ჩვენ შეცდომაში შეგვყავს და ბრმათ გამოგვყავს.

„ქარა ამდენი თმენა. თვითუღმა ჩვენგანმა მარჯვეთ და პირდაპირ სთქვას თავისი აზრი, თავისი შეხედულობა, დაიცვას თავისი მიმართულება და დაარღვიოს სხვისი შეცდომა ან უხეირობა. საზოგადოება და ახალ-გაზღობა დაინახავს მაშინ სიმართლეს და იქნება, როცა დაინახავს, თავის საკუთარ გზას გამოსძებნის და თავისი საკუთარი ჭკუით გაიგოს, ახალი გზით, ყველა მებრძოლების განგზე დატოვებით. დიდი ხანია, ნათქვამია რომ ქეშმარიტება გამოიჭვრეტს აზრების შეტაკებისაგანაო, დეე გამოჩნდეს ეს ქეშმარიტება, მარტო ამით შეგვიძლიან ჩვენ, ჩვენს მდგომარეობაში, სარგებლობის მოტანა ჩვენი ახალგაზღობის, საზოგადოებისა და ქვეყნისათვის“. („დროება“ 1876 წ. № 56)

ღიახ, ახლა მაინც დროა, გამოჩნდეს ეს ქეშმარიტება!..

ნ. ყორდანია.

სხვა-და-სხვა ამბები

ამ თვის 24 თფლისის სასამართლო პალატაში დანიშნულია ჩვენი ვახეთის რედაქტორის, ქალ. ან. წერეთლის საქმე, რომელსაც ასკანის სოფლის მწერალი ყარამან ნინიძე უჩივის რომ „კვალის“ ერთ კორესპონდენციაში შეურაცყოფა მომაცენესო.

როგორც წინეთ გვქონდა მოხსენებული, თამბაქოს ქარხნის პატრონს ბოზარჯიანს მთავრობამ წინადადება მისცა ქარხნის დახურვისა. ახლა როგორც შევიტყვეთ ბოზარჯიანს განცხადება მიუერთმეგია თფილისის გუბერნატორისათვის, რომელშიაც ის სხვათა შორის ამბობს, რომ ჩემი ქარხნის დახურვას შიგ მომუშავე 300 მუშის სიმშინლობა მოჰყვება და ამასთანავე ხაზინას რამდენიმე ათასი მანეთის ზარალი მოუვაო. ამიტომ ის ითხოვს დაინიშნოს განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც უნდა დაათვალიეროს ქარხანა, უჩვენოს შენობის ნაკლი, რომ დროებით გადაკეთებულ იქმნას იგი. გუბერნატორი დათანხმდა ამ შუამდგომლობაზე და დანიშნა კომისია, რომელსაც დაევალა ქარხნის დათვალიერება.

13 ამ თვეს სალამოს გრაკალს და კასპს შუა პოსაყირის და საქონლის მატარებელი ერთმანეთს დაეჯახნენ. კვდარია 8 კაცი; ამათში 3 კონდუქტორი: გაბუნია, ბერძნიშვილი და დეკანოზიშვილი. დაჭრილია 18 კაცი. გრაკალის სადგურის უფროსის თანაშემწე, კეზელი, გაქცეულია.

ქართული
განცხადება

ქ. ფოთის თავის მოადგილეთ ბ. ჯალალოვის მაგიერ, რომელმაც კენჭის ყრაზე უარი განაცხადა; არჩეულ იქმნა ი. ს. ფანცხავა.

როგორც გაზ. „ივერიას“ ატყობინებენ, 3 ოქტომბერს ქ. თელავში კრება ჰქონიათ თ. ჩოლაყაშვილის თავმჯდომარეობით თელავის მაზრის თავად-აზნაურობას. კრებაზე დაუდგენიათ: შეერთდნენ თელავისა და სიღნაღის მაზრის ბანკის დამფუძნებელნი წევრნი, გამოიტანონ ბანკიდან ის ფული რომელიც უმაღლესი ბრძანებით უკანვე უბრუნდებათ მათ, და მოახმარონ რაიმე საზოგადო სასარგებლო დაწესებულებას. აგრეთვე კრებამ დაავალა თავ. ჩოლაყაშვილს ტელეგრამით თავად-აზნაურთა სახელით მიელოცა თავ. ი. გ. ჭავჭავაძისათვის ავითყოფობისგან მორჩენა.

ცნობილი დრამატურგი ჰაუბტმანის დრამა „სულით ობოლნი“ გადმოუთარგმნია ბ. ი. გომელაურს, რომელიც აპირებს გასასინჯათ წარუდგინოს დრამატიულ საზოგადოების გამგეობას.

როგორც რკინის გზის მომხმარებელთა საზოგადოების ამ წლის პირველ ნახევრის ანგარიშიდან ჩანს, საზოგადოებას უნახავს მოგება 7,465 მ. და 39 კ.

როგორც გადმოგვცეს, ქუთაისში ახალ ამხანაგობა დგება თურმე, რომელსაც აზრათ აქვს ხელი მოჰკიდოს მუხის ხეების საზღვარ გარეთ გატანას.

ქალაქის საბჭოს დაუდგენია, რომ ამიერიდან, როგორც მენახშირეებმა ისე სოფლიდან ჩამომტანელებმა, ნახშირი უთუოთ წონით გაჰყიდონ. სოფლიდან ჩამოტანილ ნახშირს ქალაქის სასწორზე აწონვენ და იქვე დააკრავენ ქალაქს, თუ რომელი ტომარა რამდენს იწონის და მხოლოდ ამას შემდეგ შეუძლიათ ჰყიდონ ნახშირი.

დაბა სოჩაში, როგორც ატყობინებენ „ნოვობოზ.“ აარსებენ სამეურნეო საზოგადოებას.


სამიწათ-მოქმედო სამინისტროს განუმარტავს ქუთაისის ადმინისტრაციისათვის, რომ იმ მიწას, რომელშიაც მარგანეცი არისო, გარდასახადი უნდა დაედოს, როგორც უბრალო მიწას, რადგანაც მარგანეცი უკვე არსებობს სხვა გარდასახადი (ც. ფ.)

ქუთაისის საგუბერნო მმართველობის განკარგულების ძალით, ქიათურის საპოლიციო ნაწილის ბოქაულმა ქიათურის მაგიერ უნდა იცხოვროს სოფ. მერევი.

ქიათურიდან გვწერენ: გემების ფრაბტი აწეულია. (ახლა კი კლებულობს); ფოთში შავი-ქვა ლირდა 22—24 კაპ. ფუთი, ახლა ლირს 19—20 კაპ., ახლა ცოტოტათი იწევს. ქიათურაში ქვას პლატფორმაზე იღებდნენ 7—8 კაპ. ახლა კი 6—6¹/₂ კ. „სკიდკით“. ვაგონებით მიჰქონდათ 9—10 კაპ., ახლა კი 7—8 კაპ. და ისიც არ მიაქვთ; საზოგადოთ, შესამჩნევი კრიზისია, დამზადებული გასაყიდი ქვა ბევრია, ქიათურის სადგურთან დევს 40 მილიონი ფუთი, ქიაურსა და დარკვეთში 10—15 მილიონი ფ., ზესტაფონში 1—2 მილიონი ფ., ფოთში 5—10 მილიონი, თვით ქიათურაში დიდი მოძრაობაა, არსდება წვრილ მრეწველთა პატარა კავშირი, რომ სესხიც ადვილათ მოიპოვონ, უცხოეთის ბაზარსაც დაუახლოვდნენ და სხვა შეღავათებიც შეიძინონ.

„კვალის“ კორესპონდენციები

ქ. ბათომა. ზირველ ამ თვეს გაიხსნა აქ მეურნეობის სხვა და სხვა გვარი ნაწარმების გამოყენა. ქალაქის ბუფარის საუკეთესო აღაგას კაბწით მართული ზავილიანები სავსეა საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან წარმადგენილი ნაწარმებით; ჩვენ აქ ვგვლავ ექსპონენტების წარმადგენილ ნაწარმების აღწერას ვერ ვაკისრებთ, რადგან ამას ვრცელი ადგილი დაჭირდებოდა. ამიტომ დავკმაყოფილდებით უფრო თვალსაჩინოდა დირს — აღსანიშნავ ნაწარმებთა მხსენებით. გურიის „შუამავალს“ საკონკურსოთ წარმოადგენია შემდეგი ნაწარმებანი. აბრეშუმის სხვა და სხვა ქსოვილები: შარტები, ცხვირსახოცები, ჩუქები, სკაბები, ატლასები; ზარკები, ვაშლები, თაფლისსანთელი და სხ. უნდა ვთქვათ, რომ აბრეშუმის ქსოვილები საუცხოოთ მომზადებულნი და სასურველიც არის „შუამავალს“ ეს სასარგებლო შრომა გურულებისთვის შეესწავლებინა და დაეინტერესებინა იგინი ამ მხრივ, მარა, როგორც ვაგვგეთ, ეს ნაწილი „შუამავალს“ არამც თუ სარგებლობას, ზარალსაც აძლევს თურმე. ამ უკანასკნელ საზოგადო კრებაზე „შუამავალის“ წევრებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ზარალი უჩვენეს საქსოვ განყოფილებისგან, მაინც გადაწყვიტათ არ დაეხურათ საქსოვი და განეგრძათ მუშაობა. ეს ერთი მხრით კარგი კარდაწყვეტილებაა, მარა მეორეთ მხრივ ეს ზარალი სულ სხვა გვართ ღანჯაკობს. ღანჯაკობს სხეულ-



დობრ იმას, რომ რადემდის უნდა გავრძელებს ეს სა-
რადი? ვაი თუ სისტემატიურათ, ეფექტურად წელიწად-
ის ამხანაგობამ და ბოლოს მაინც იძულებული გახდეს
საქსოვი დახუროს. ვიცით რომ ეს სამწუხარო იქნება,
მარა რა ვქნათ, რომ ფაბრიკის ნაწარმები სელაჩხური
ნაწარმები კონკურენციას ვერ უწევს და ადრე თუ გვიან
პირველი სიცოცხლეს გაუქრბს მეორეს. ძალა უნებურათ
უნდა შევერიგდეთ ამას და ვუცადოთ, რომ საზოგადოება
ზარალს აცილდეს და მით მისი მოვალეობა შესრულდეს.
ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელს აბრეშუმის ჭიის
სხვა-და-სხვა ზარკის კოლექცია წარმოუდგენია. აგრეთვე
სხვა ნაწარმებიც, მაგ. ზარკი. მარა ეს კოლექცია
ეგვალზე უფრო საინტერესოა იმათთვის, ვისაც საშუა-
ლება არ ჰქონება ენახა აბრეშუმის ჭიის გამოსვლა და სხვა-
და-სხვა ჭასაკის დროს მისი დაშინჯვა ვიდრე ზარკის კე-
თების დაწებამდის. აქ ნათლათ ხედავთ ეგვლა ამებს.
კოლექცია შევირდებს დაუმზადებია ინსპექტორის ხელმძღ-
ვანელობით. ბახვის სკოლას, სადაც სამეურნეო განყოფი-
ლება არის და სადაც საკუთარი აგრონომი ჰყავთ, გამო-
ყენებზე შემდეგი ნაწარმები წარმოუდგენია: თაფლი,
ბუკის მოდელი, სხვა-და-სხვა ხეხილები; ამათ შორის სე-
ურადდება ამერიკულ ვაზზე ადგილობრივი ვაზების
დანიშნულები ნაყოფები, აქვთ აგრეთვე ზარკიც, ბოსტ-
ნეულები, საუცხოვო ბადრიჯნები და სხ. სოფელ ხი-
დისთავიდან ბ-ნ ბ. ბერიძეს იზაბელას ღვინოები წარ-
მოუდგენია, ამ ღვინოსაგან მომზადებულია კონიაკიც.
სერმინე კალანდაძეს გამოთენებზე სხვა-და-სხვა ხეხილები
აქვს, სხვა-და-სხვა მცენარების ტოტები. უნდა შევნიშნათ,
რომ ეს კაცი უბრალო სოფელი კაცი, მას არც აგრო-
ნომიული სწავლა მიუღია და არც აკადემიური, მარა
შეგნიერი ბადი ჰქონება გამართული სოფელში. ბათუ-
მის სახელოსნო სასწავლებელს განსაკუთრებული ზვი-
ლიონი აქვს დათმობილი. ამ სასწავლებელში სულ გვარ
ხელობას ასწავლიან: ზეინკლობას (სელსრობას), ღურგ-
ლობას და აბრეშუმის ქსოვას. წარმოუდგენიათ საუცხო-
ვო და მზადებული სტოლები, სკამები, გეომეტრიული-
სხეულების ნიმუშები; აქვე აჩვენებენ მოსწავლეები გამო-
ყენის დამთავლიერებებს ზარკის ამოხვევას და ქსოვას
სტანოკებზე. გამოთენებზე ნახვით აგრეთვე ჩაის მომზა-
დებას. წარმოუდგენილია ჩაის სხვა-და-სხვა ჯიშები სუფ-
ლისწულად მამულიდან (ჩაქვიბია), ზაზავის მამულიდან.
აჩვენებენ აგრეთვე ხეხილების გაშრობას. ანთონის ოფ-
ქიდან არის თუთუნის, უგრძობი სხვა-და-სხვა ჯიშის, ზე-
თის ხილი და მისგან მომზადებული ზეთი; სხვა-და-სხვა
მცენარეულობა. გამოთენებზე დაწვრილებით შევიძლიათ
გაეცნოთ შავი-ზღვის ნაპირების მცენარეულობას.

გამოთენებს გულმოდგინეთ ათვლიერებენ და ეგვლას
დაწვრილებით უხსნიან და შესაფერ განმარტებენ აქვე
„რუსეთის მუბადეობის სამმეურნეო საზოგადოების

კავკასიის განყოფილების“ წარმომადგენელი ბ-ნი
ქუთათელაძე. გამოთენა გასტანს ამ თვის ბოლომდე.

X

ჟ. სიღნაღი. თითქმის სამი წელიწადი ზედი-ზედ
აღხადებდა მთავრობა, რომ 1899 წელს შემდეგ
აღარ მიიღება 5, 10, 25 და 100 მანეთიანი ქაღალდის
ფულები, რომელნიც არიან გამოცემული, 100 მანეთიანი
1866 წ., 25 მ.—1887 წ. 10 მ.—1887—1892 წ.წ.
5 მ.—1887 1894 წლებშია და ვისაც კი მოკლებო-
ბათ, უეჭველათ გამოცვალეთ ადგილობრივ საზინებშია.
სწორეთ ამ საქმისთვის და საკანზე ძრეულ ბევრი გან-
ცხადებები დაიბეჭდა და გაეგზავნა მრავალ სახელმწიფო
სამმართველოებს დაბა-სოფლებში დასარიკებლათ. ბევრი
დარიკდა დაბა-სოფლებში, ბევრი ჩაღმა ზოგიერთ და-
წესებულებებში... და ამ განცხადებებმა ვერ მიახწიეს თავის
მიზანს. ვერ შეაგნებეს თითქმის სამ წელ ხალხს
მთავრობის განკარგულება. ეს შეუგნებლობა ჩემი აზრით
წარმოდგა იქიდან, რომ 1) განცხადებები ადგილობრივ
ენაზე არ იყო დაბეჭდილი, 2) მომეტებული ნაწილი
ხალხის წერა-კითხვის უცოდინარა და 3) ხალხს წინა-
მძღელი და ამხსნელი არ გამოუჩნდა. მართალია, ადგი-
ლობრივ უუნარ-გაზეთებშიაც ათასში ერთხელ იბეჭდე-
ბოდა ეს განკარგულება, მაგრამ რა? ჯერ ბევრი, ძრეულ
ბევრი მამალი იეივლებს იმ დრომდე, სანამ ჩვენი ხალხი
უუნარ-გაზეთების კითხვას მიეხვედრეს. უუნარ-გაზე-
თების წყალობით თუ განცხადებების წაკითხვით, ან რომე-
ლიმე კეთილი კაცის ჩაგონებით, ვისაც კი გაეგო ეს
ამბავი, მიაწვდა სიღნაღის მაზრის ხაზინას და ქაღალდის
მაკიერ დაწვრო ზიდვაოქროს და გერცხლის ფულს. არა
თუ ხსენებულ ფულებს, არამედ ახლებსაც კი აცვლავი-
ნებდენ. ასე რომ 1899 წ. ქრისტეშობისთვეში ვეღარც
კი აუღიოდა ხაზინა გამოცვლა-დახურდავებას. მარა ეს
მაინც ხალხის მცირე ნაწილი იყო.

1900 წელს იანვრის თვეში დიდ-ძალ ფულს ატა-
რებდენ ქუჩა-ქუჩა სიღნაღში ძინძებში გამოხვევულს, ნა-
მეტნავთ დედა-კაცობა, და იხვეწებოდნენ დახურდავებას.
ზოგი 5 მ., ზოგი 10 მ., 25 მ., 100 მ., 150 მ.
და მეტსაც. მარა ვინ დაუხურდავებდა. ამ შემთხვევით
ისარგებდეს ზოგიერთმა ფულის ზატრანებმა და ბევრმა
დიდ ძალი ფული შეისყიდა, მანეთი ერთ შაურათ. ასე
რომ ხუთ მანეთიანში ხუთ შაურს აძლევენ და სხვ. არ
კომარეს კარზე მოტანილი ოხრათ საშოგხელი ფულები,
სოფლებსაც კი მოედვენ, იმ იმედით, რომ იქ სოფელ-
ში უფრო იაფათ ვიშოვით. თითონ მე მომიტანა ერთმა
ნაცნობმა კაცმა რამდენიმე 5 მანეთიანი ქაღალდის ფული
1887 წლისა. „მე მძლევენი თითოში ხუთ შაურს და
რას მიჩქე, მივცე თუ არა“.

რაკი მთავრობა დარწმუნდა რომ ხალხში ჯერ კიდევ
დიდ-ძალი ფული დარჩომილია, ბანკებს, მის განყოფი-

დებებს, საკუბერნო და მანრის ხაზინებს უბრძანა განაკდონ შემოსხენებულ ფულების მიღება 1902 წლის იანვრის ბირჟულად. გარდა ამისა დაარბა მსხვილ კარდონზე გაკრული, 5, 10, 25 და 100 მანათიანი ნიშუბები, ორივე ბირჟის ჩვენებით. მაგალითათ 100 მანათიანი არის კარდონზე გაკრული ორი, ერთი უჩვენებს ბირს და მეორე ზურგს. ეს ნიშნები დარიგებულია ბანკებში, მას განუფილებებში და ხაზინებში. ორი ამ გვარი ნიშუბები სიღნაღის ხაზინაშიც არის. კარდონის თავზე აწერია: ეს ფულები მიიღება კიდევ 1902 წლის ბირჟულ იანვრამდე და შემდეგ მოისზობაო. მაგრამ რა? განა ეს შეგნეირი განკარგულება აწვევს თავის მიზანს? საშუაზრათ უნდა ვთქვათ, არა. არა მიტომ რომ, მომეტებულმა ხაღნმა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, წერაკითხვა არ იცის. და ვინც იცის ისიც ჯერ არ კითხულობს სათაურს, ის მარტო აგვირდება ფულების სახეს. აი ახლა მოახლოვდა შემოსხენებულ ფულების მოსზობის ვადაც, ჯერ თუმცა 15 თვეც არის, მარა ნუ დაივიწყებთ, რომ ჯერ კიდევ დიდი, ძრიელ დიდი ფულია ხაღნში, ნამეტნავათ სოფლათ, შენახული სამკვდრათ, სამზითათ და სხვა. ამისაოვის დიდი სასურველია რომ ჩვენმა ყურნალ-კასეთებმა ხმა ამოიდონ და მკითხველს მოახსენონ დრო გამომშვებით თავის ფურცლებზე შემოთ ხსენებული ქალაღლის ფულის გამოცვლაზე.

რახზამდე.

ბოლოიტიკური მიმოხილვა

ჩინეთის ამბები კიდევ იზურბს ქვეყნის ყურადღებას. დარწმუნებით არავინ არ იცის, რა მოხდება ახლო მოავალში შორეულ აღმოსავლეთში. აღდენი ხანია ამბობენ სამშვიდობო მოლაზარაკება დაიწება ჩინეთთან, მარა დღემდის ვერ დაიწყო. ჯერ ისიც ვერ გამოარკვეიეს საფუძვლიანათ, ვინ არის ჩინეთის სახელით მოლაზარაკე და ბირბობის დამდები. გასულ კვირის ამბებში შესანიშნავია მხლოთ ერთი, სახელდობრ გერმანიის და ინგლისის შეთანხმება ჩინეთის საქმეებზე. როგორც დეპეშა გვაცნობებს, ეს შეთანხმება შეიცავს ოთხ მუხლს: 1) ჩინეთის მდინარეებსა და ზღვის ბირას მდებარე ბოლახებში დაიცვან სრული თავისუფლება ადებ-მიცემობის და ვაჭრობისა ყველა ერთა და სახელმწიფოთათვის; 2) ეს დელა-აზრი უნდა განახორციელონ ყოველგან, მთელ ჩინეთში, სადაც მათ მთავრობათ ხელი მიუწვდებათ; 3) დაიცვან ჩინეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობა და წინ აღუდგენ ყველა იმათ, ვინც კი ჩინეთის მიწა-ადგილის ხელში ჩაგდებას მოინდომებს და 4) მიიმზრონ ამ დიდაზრებისაკენ დანარჩენი სახელმწიფოებიც. ასეთია ხელშეკრულობა. ამით გერმანიამ დაიკავშირა ზღვის ძრიელი

სახელმწიფო, რაცა ასე საჭიროა შორეულ აღმოსავლეთში, ხლოდ ინგლისმა დაიხლოვა ხმელეთის სახელმწიფო, რაც ასე საჭიროა მისთვის დღევანდელ აწვეილ საერთა-შორისო განწვობილებაში. ზოგი კასეთები ამტკიცებენ, რომ ინგლის-გერმანიის ხელშეკრულობა ეხება არა მარტო ჩინეთს. არამედ სხვა საგარეო საქმეებსაც. ეს მართალია თუ ტყუილი — ჯერ არავინ არ იცის, მაგრამ ის, რაც ვიცით, ხათლათ აჩვენებს ამ ორი სახელმწიფოს დახლოვებას. ინგლის-გერმანიის კავშირი — ეს გერმანიის დემოკრატიული ბარტიების დიდი ხნის სურვილია, მათი აზრით ამ კავშირის გამძღავრება არის გამძღავრება ახლანდელი კულტურის და თავისუფალი წვობილების. და აი ეს მგონი ახლა უნდა განხორციელდეს. ბისმარკის შემდეგ გერმანიის ხმა ბოლიტიკაში ძალიან სუსტი და თითქმის უმნიშვნელო იყო. მისი გამძღავრება ვერ შესძლო ვერც გრაფმა კანრივიმ და ვერც თავადმა ჭეჭენლემ. და ეს განსაკუთრებით იმიტომ რომ მათ სუსტი მოკავშირენი ჭეჭვლათ (ავსტრია და იტალია). ცხადია, უფრო ძლიერი მოკავშირე სერმანიისთვის აუცილებელი იყო, რომ მას თავისი ადგილი დაებრუნებია საერთა-შორისო ბოლიტიკაში. ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი მოკავშირე თუ არ ინგლისი? და აი გერმანიის იმპერატორმა თავისი განუშვებით ტრანსვალის ომის დროს გვამცნო, რომ ინგლისთან დახლოვება სურს. ეს დახლოვება ახლა საქმეთ იქცა. ამასთან კავშირი უნდა ჭქონდეს სუსტი ჭეჭენლემს კანცლერობიდან გადადგომას და მის ალაგას ენერგიული ბულაოვის დანიშნას. მეორე მხრით, ამ კავშირს ხელი შეუწყო ინგლისის კანსერვაციული ბარტიის გამარჯვებაში არჩვენებში. ინგლისის კანსერვაციონები, წინააღმდეგ ლიბერალებისა, მეტადინებენ ინგლისის საომარი ძალა გამრავლბონ, ხმელეთის მხედრობა გააძლიერონ და ასე ბირდაზირ დაუდგენ ინგლისის მტრებს. როგორც ჩანს ამ აზრის არის ინგლისის ხაღნი და სხვა ხაირათ არც შეიძლება იევეს ახლა, როცა მას ყოველი მხრიდან იარაღს უდერებენ. ასეა თუ ისე, ამ ჟამათ მეტათ საკულისხმო ბრცენსი წარმოებს ბოლიტიკაში, ეს არის ინგლისის მთავრობის გამძღავრება კარეთ მოკავშირეთა შექენით და შიგნით ხაღნის თანაგრძობით. ვის წინააღმდეგ მიიმართება ეს მიმდინარეობა — ამას მომავალი გვიჩვენებს.

რ) მანუხების?



ე არ მანუხებს ურცხვთა, ჭუტიფათ ლანძღვა, გინება გამწარებული! მათი ღაუბობა ღაცამ ახსნილი, ათასი ცუდი მაჭრობული; მე არ მანუხებს მათი მტრობა შურით და კესლით შემზადებული,



ჩემს გასაგებობათ თუნდ რომ მათ ვეკლას
 ჰქონდეს ისარი მამზადებული;
 მე არ მაწუხებს უგუნურთ აზრი
 ჭურსაჯით ვინაც ამოძახებს,
 უსაქმურებით დაჯანგებული
 თვით, რომ არ იცის, რას დაიძახებს;
 მე არ მაწუხებს, რას კუდა-მელა
 აქა იქ რასმეს წაიწურხულებს.
 სხვის გასაკიცხათ, თვის სსსახელათ,
 თუ არ მოჭირა, ვერ ისულდგმულებს;
 არც ის მაწუხებს თუ, რომ მეგობარს
 ვერ შევასმინე გულის თქმა წრფელი,
 ადვილათ შეგძლებ მისსა დათმობას
 რაცა სიკეთის არ არის მქნელი.

—
 მხალთ მაწუხებს ბედი უწყალო,
 წადმა უგულმა რომ მატრიალებს,
 ხან ქვესკველს მტურინის მწარე ფიქრებით,
 ხან ტუბილ ცხენებით ცას მათურიალებს

კატო მიქელაძე

მხირი მინიშნა

ზოგი ხანი არ არის რაც შავი ქვის მწარმოებელთა
 კრება დასრულდა და მაშასადამე ჯერ კიდევ თვალწინ
 უდგია ვეკლას ის არეულ-დარეულება და ბრძოლა ორ
 პარტიას შორის, რომელიც მაშინ მოხდა. ვინ გაიმარ-
 ჟვა, ვინ დამარცხდა მათ შორის—ჩვენ ამას არ შეგვე-
 ბით, რადგან ამაზე დაიბუკდა რამდენიმე სტატია გა-
 ზეთებში და იმედია კიდევ დაიბუკდება, ვიტყვი მხო-
 ლთ რომ ვინც კი წაიკითხავს კრების ოქმებს—ნათლათ დაი-
 ნახავს, რომ რაც კითხვები წამოაყენა ომბოზინამ, უგულა
 გაიტანა, გარდა თავმჯდომარის არჩევისა, სადაც
 არჩევანი წარმოებდა თანახმათ ხმების და არა მწარმოე-
 ბელთა რიცხვისა, ხოლო მსხვილ მწარმოებელთ ბევრს
 5 დ ათი ხმა ჰქონდათ! არჩევანთა შორის საუურადდე-
 ბოა პლატონოვების (ბაქების) გამნაწილებელი კო-
 მიტეტის არჩევა. აქ მოხვდნენ წვრილები ბ. ჯ. იაშვილი
 კ. უდენტო და თქვენი უმცროსი მონა. ეს პირნი
 კ. უდენტო და თქვენი უმცროსი მონა. ეს პირნი
 კ. უდენტო და თქვენი უმცროსი მონა. ეს პირნი
 კ. უდენტო და თქვენი უმცროსი მონა. ეს პირნი

ჩვენ, ახალ კომიტეტის წევრებს. შორს ადარწმუნებულ
 და მოგვიყვან ჩვენი პირველი სხდომის ამბავს. (წელიწად-
 ში კომიტეტს სამჯერ აქვს კრება), საიდანაც ნათლათ
 დაფინანსავთ თუ რამდენათ ეწინააღმდეგება ჩვენი ვითომ
 და მომხრეების საქმე მათ სიტყვას. პირველი კრება გა-
 ნახლებული კომიტეტის იყო 21 ენკენისთვეს, თხოვნა
 შემოიტანა 40-მდე წვრილ მწარმოებელმა, რომლებიც
 უსათუოთ უნდა დაგვეკმარებინა, რადგან უფლებივე
 საჭირო საბუთები ჰქონდათ. ამას გარდა უნდა მოგვეკმა-
 ტებია 10 -11 კაცისთვის (ესენიც წვრილებია) ბაქები
 და, თუ რამე დარჩებოდა,—გაკვეთილებინა მსხვილ მწარ-
 მოებელთა შორის, რომელთაც უკვე დიდი ბაქები აქვთ,
 სამართალი ამას მოითხოვდა. ხელთ გვქონდა 320 საყუ-
 ნი ბაქანი, დავიწყეთ განაწილება და 40 წვრილ მწარ-
 მოებელს ისე მოვუჭირეთ ხელი, იმისთანა ეკონომია და-
 ვიჭირეთ, რომ მხოლოდ 10 მათგანს მივეცით 5 საყუ-
 ნიანი ბაქები, დანარჩენს სულ ოთხ-ოთხი საყუნი მიუ-
 საჯეთ. 40 კაცში ერთისთვისაც არ მიგვიცია 6 საყუნი-
 ნი ბაქანი, მიუხედავად იმისა რომ ბევრმა მათგანმა წარ-
 მოადგინა მოწმობა ვისგანაც ჯერ იყო რომ ქონებიათ
 მანებში ვის 100, ვის 200, და ვის 300 ათასი ფუთი
 მარკანტი და მზადებული. გადარჩენილი ბაქები რასაკვირ-
 ველია უმდაბლესათ მივართვი მათ ვისაც 100—200
 საყუნიანი ბაქები ჰქონდათ, ზოგს 30, ზოგს 20 და
 ზოგსაც 15 საყუნი. აი ამას ჰქვია სიტუვა სხვა და
 საქმე კი სულ სხვაა.

რას ფიქრობენ ეს გაუბატონები, ეს ჩვენი ვითომ
 და გულშემატკივარნი და ან როგორ გუნებაზე არი-
 ან—არ ვინც, ხოლო მე კი ცუდათა ვგრძობ თავს,
 რადგან ვერ შევასრულე ჩემი მოვალეობა, მაგრამ იმედია
 უგულამ გაიგო საქმე რაშია იყო და აღარავინ გა-
 მამტუნებს. რუსები იტყვიან „одинъ въ полѣ не
 воинъ“.

ასეა საქმე და, თუ ვიცოცხლეთ, კიდევ ბევრ მაგა-
 ლითებს ვნახავთ თუ ვინ როგორ მოქმედობდა ჩვენ ორ
 პარტიას შორის და ვის უფრო შესტკიოდა უმრავლეს-
 ბისთვის გული.

ჭიათურა, 30 სექტემბერი. კ. მოღვაძე.

ქართული თეატრის მენიშნის საქმე

ამას წინეთ „კვალში“ ვცხადებდით, რომ ქართული
 წარმოდგენების სეზონი 12 ამ თვეს დაიწყება. ეს ჩვე-
 ნი სიტუვა ვერ გამართლდა, ქართული სპექტაკლი ამ
 დღეს ვეღარ მოხერხდა და გადაიდგა შემდეგ კვირამდის.
 ამის მიზეზია არა ქართული დრამატული საზოგადოე-
 ბის გამგეობა ან ტრუზა, არამედ სულ სხვა, რაც ერთ
 მუკათ საგულისხმო მოვლენას წარმოადგენს. ამისათვის
 ამას მოკლეთ აქვე მოვუთხრობთ მკითხველებს.

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთა რევოლუციური
პარტია

როგორც იცით, მთავრობამ გასულ წელს გადაწყვიტა მომავალი სეზონიდან ქართულ თეატრში სპექტაკლების გამართვა აკრძალეს, სახამ შენობას არ შეაკეთებენ თანხმით სატექნიკო კომისიის მოთხოვნებისა. ზირველათ, ეს ამბავი მოხსენდა მისიში მომხდარ გუბერნიის თავად-ახნაურთა კრებას და ამ კრებამაც შემდეგი მსჯავრი დასდო: თეატრის შენობა დაიხურეს, ქარვასლის ვალები 8 წლის განმავლობაში გადახდილ იქმნას, შემდეგ ქარვასლა ხელახლა დაგირავდეს ბანკში და გამოტანილი ფულებით ძველი შენობა თავისი თეატრით მოიპოვოს და ახალი აიგოს. ხოლო, რაც შეეხება ქართულ სპექტაკლებს, დრამატიულ საზოგადოებას მიეცეს წლიურათ 2—3 ათასი მ. და ამ ფულით სხვაგან იქირაოს ბინა. ამასთანავე, კრებამ ამოიჩინა ახალი გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი. გამგეობამ და კომიტეტმა იქონია ამის შესახებ სჯაბასი და იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ თეატრის გაუქმება და 8 წლის განმავლობაში დრამატიული საზოგადოებისათვის სამ-სამ ათასი მან. მიცემა ურთობ საზარალო იქნება თავად-ახნაურებისათვის, ჯობს ისევ თეატრი შეკეთდეს, ამაზე რცო ათას მანეთამდის დაიხარჯოს, სპექტაკლებისათვის იჯარით გავტოვო და ვეკლა ეს ფული უკან დაგვიბრუნდება და თანაც დრამატ. საზოგადოებისათვის სუბსიდიის მიცემა საჭირო აღარ იქნება. ამ კანონიერ და სსსარგებლო მისაზრების განხორციელებას შეუდგენ ზაფხულშივე. ეს გაიგოთ თუ არა, დრამატიული საზოგადოების გამგეობამ წინადადება შეიტანა, თეატრის შენობა, შემდეგ შეკეთებისა, ჩვენ მოგვეცით იჯარით. ქარვასლის გამგე კომისიამ ზირველათ არ მიიღო წინადადება, ჩვენ თვითონ გვინდა მისი წარმოება, მაგრამ ბოლოს, სექტემბრის თვეში დათანხმდა და სამი წლის ზირვობაც დაიწყო. ზირვობის ძალით თეატრის შენობა თავისი ელექტრონის განათებით წელიწადში 3 ათას მანეთით მოიჯარადრესთვის უნდა ჩაუბრებიან ზირველ ოქტომბერს. წინააღმდეგ შემთხვევაში კომისია იხდიდა დღე და ღამეში 120 მ. ჯარიმას და სამას თუმანს „ნეუსტოიკას“. დრამატ. საზოგ. გამგეობა დაწესებულა, რომ ზირველ ოქტომბერს თეატრს ჩააბარებენ თავის მხრით ზირვობა შეუკრა რუსის დრამატიული ტრუპას, და აღუთქვა ზირველ ოქტომბრიდან თეატრის მიცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობა იხდიდა დღე და ღამეში 100 მ. ჯარიმას და 500 მ. „ნეუსტოიკას“. და აი, ეს ტრუპა (დალსკის) რუსეთიდან 30 სექტემბერს ჩამოვიდა და მოითხოვა თეატრი. თეატრის შეკეთება თითქმის გათავებული იყო, აკლდა მხოლოდ ელექტრონის განათება. მაგრამ ელექტრონი არსად ჩნდა, თეატრში წარმოდგენის გამართვა შეუძლებელი შეიქნა. ამასთანავე, კომისიამ დრამატ. გამგეობას თეატრი ვერ ჩააბარა ზირვობისამებრ და უკანასკნელმა კიდევ დალსკის ტრუპას ვერ შეუსრულა დაბრება. ამ ნაირთ, დრამატიული საზოგადოების გამგეობა ჩავარდა

გასაჭირში, მან უნებლიეთ მოატყუა დალსკი, ზირვობის 35-მდე მსახიობი, მისცა დიდი ხარჯი და აქ კი ვეკლა ესენი უსაქმოდ დატოვებია. დალსკიმ მოითხოვა არა მარტო ჯარიმა და „ნეუსტოიკა“, არამედ ის ზარალიც, რაც მოუვიდა და მოუვა თფილისში წარმოდგენების დაუდგმელობის გამო. გამგეობა აჩქარებს კომისიას, დავიღუბეთ, გვიშველეთ ჩქარა, კომისიამ კი ამ საქმეს ვერას გზით თავი ვერ მოაბა. ამ დროს მოხდა გუბერნიის თავად-ახნაურთა საკანგებო კრება (8—9 ოქტომ.) და ეს კომისიის ამბებიც კრებაზე გადაიტანეს განსახილველათ. აი აქ რა გამოიწვავა:

კომისია ზირვობით შეგვიან ელექტრონის განათების საზოგადოებას „უნიონს“. ზირვობაში ნათქვამია: „უნიონი“ იღებს ამ საქმეს იჯარით 25 წლის განმავლობაში (გაიხსენეთ რომ 8 წელიწადს მერე ქარვასლა ერთიანთ უნდა დაანგრიონ და ახალი ააშენონ), ამ ხანში არავის არ აქვს უფლება შენობა განათოს ელექტრონით, გარდა „უნიონისა“. ელექტრონით განათება უნდა მოხდეს ექვს თვეს მერე, ზირვობის ხელის-მწერის დღიდან. ასეთია კონტრაქტი. ცხადია, „უნიონი“ სრულებით არ ეოფილა მოკლე ამ სეზონში სინათლე მოგვეცეს. კომისიასაც დაუნახავს ეს და ამიტომ შეუკრავს მასთან მერე, დამატებითი კონტრაქტი. აქ სწორია: „უნიონი“ მოვალეა ზირველ ოქტომბრამდის დადგას დროებით მანქანები და თეატრის შენობა ზირველ ოქტომბრიდან განათოს. მაგრამ მანქანების დირსებებში ის ზასუსს არ აკებს! ე. ი. „უნიონი“ არც ამით ეოფილა ვაღდებულა უთუოთ სინათლე იქნის თეატრში, მას არავითარ ჯარიმას და „ნეუსტოიკას“ არ უწერია, თუ უნდა მოგვეცეს სინათლეს და თუ უნდა არაო! ცხადია, კომისია ზასუსის მკეპელია „უნიონის“ წინაშე ვეკლაფრით, ხოლო „უნიონი“ კი მის წინაშე არაფრით. და აი, იგივე კომისია ზირვობას აძლევს დრამ. საზოგ. გამგეობას თეატრს ჩააბარებო და შენ სხვა ტრუპას მაჭირავებო. ე. ი. კომისია აბარებს სხვას იმას, რაც მას ხელში არ აქვს; ამით დიდი ზარალი მიეცა დალსკის ტრუპას, რასაც გამგეობისაგან თხოულობს, გამგეობა თავის მხრით ზარალს თხოულობს კომისიისაგან, ხოლო კომისია კი ვერავისაგან. ზარალი მიეცა აგრეთვე დრამატიულ საზოგადოებას, რომელიც ჯამაგირს აძლევს თავის ტრუპას და წარმოდგენას კი ვერ მართავს. ასეთია ამ საქმის გარემოება.

4 თუ 5 ოქტომბერს კომისიამ თავისი ფულით იქირავა მანქანები და ჩააბარა „უნიონის“ წარმომადგენელს ბ. ექსტელობიტს, მოგვეცი სინათლეო. სინათლე მისცა მხოლოდ ერთ ღამეს და ისიც დიდ გაჭირვებით (8 ოქტ.), სამაგიეროთ, მერე წარმოდგენაზე სწორეთ სადამოს 8 საათზე გამოაცხადა სინათლე არ არისო და წარმოდგენაც გადაიდგა. საზოგადოებაში შეიქნა დიდი

ჩრქედი და უკმაყოფილება. ამას უკრადდება მიაქცია ზოლიცამეისტერმა და 11 ამ თვეს წარმადგენის გამართვა აკრძალა, სანამ ელექტრონის საქმე რიგთანა არ მოიწყობა. გამჩნდა სხვა ტენიკები, დაგვანებუთ ჩვენ და ამ ექვს თვეს სინათლეს მოგვემთო, მაგრამ კამისია „უნიონს“ არ ეშვება, „ნეუსტოიკას“ გადაგვანდევინებს...

ამ ნაირათ, დღემდის (11 აქტომბერი) დრამატიული საზოგ. გამგეობა უფულ დღე დალსკის უხდის 100 მან. ჯარმას, 500 მ. „ნეუსტოიკას“ და ამას კარდა კიდევ დალსკი თხოულახს ზანდას, რაიცა მისი აზრით დღეში უდრის ანა ნაკლებ 400—500 მ. ერთი სიტყვით, სათავად-ზნაურთ კამისიის წყალობით ქართული დრამატიული საზოგადება ღამის სამუდამით დაეცეს.

P. S. 12 აქტომბერს „უნიონის“ წარმომადგენელს მიუღია მისკავიდან გამწერილი ელექტრონის მანქანები და კვირისათვის (15 ამ თვეს) ზირდება თეატრის განათებას. დმკრთმა ქნას. მამსადამე ამ გამცდარი დღეების ჯარმა, „ნეუსტოიკა“-თურთ დალსკის სსსარგებლათ შეადგენს რი ათას მანეთამდის და კედევ ზანდა. 13 ამ თვეს დალსკი დაუკმაყოფილება გამგეობას 15 ამ თვემდის, რისთვისაც მისთვის მიუცია 2500 მ. უნახათ კამისია ამ ფულს დრამატ. საზოგ. გამგეობას უდავიდარბათ მისცემს თუ ანა.


6.

ხელოვნება და მისი შიშანი.
(შემდეგი)*

მე დავანახვე მკითხველს, რომ ყოველგვარი ფოტოგრაფიული ხატვის განურჩევლათ დევნა შეცდომაა; კრიტიკოსმა უმალ უნდა გაიგოს, რას ხატავს ხელოვანი. მივაქციე აგრეთვე მკითხველის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ტიპს—ადამიანს სწამდვილეში ძალიან ძვირათ შეხედება მწერალი, ამიტომ ადამიანთა ფოტოგრაფიული სურათი ხელოვნებაში უმეტეს შემთხვევაში გასადევნია, რადვანაც ასეთი სურათი—ტიპი ძალიან ძვირათ იქნება. მაგრამ ხელოვნების საგანი ერთათ-ერთი ტიპი ხომ არ არის; მას შეუძლია ტიპებს სრულებით დაანებოს თავი და თავის საგნათ ტიპიური მოვლენების, საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა ტიპიური კომბინაციების ხატვა დაისახოს. ასეთი ტიპიური მოვლენები და კომბინაციები ცხოვრებაში ბევრია და მათი ფოტოგრაფიული ხატვა ხელოვნების კანონიერ კუთვნილებას შეადგენს: თუ კი მწერალს მზათა აქვს ტიპიური მოვლენა, მაინც-და-მაინც

რათ უნდა დაანებოს ამას თავი და თვითონ გამოკრიბოს ასეთი მოვლენის ელემენტები ცხოვრებიდან? საფრანგეთის ცხოვრების ზოგი ერთი მცოდნენი სამართლიანათ შენიშნავენ, რომ ზოლას ტიპის ხატვა არ ეხერხება. და მართლაც, ვისაც ზოლა უკითხავს, დარწმუნდებოდა, რომ მის თხზულებებში არიან სხვა-და სხვა ხასიათისა და ტემპერამენტის პირნი, ტიპები კი ძალიან ცოტა და ისიც მეტათ მკრთალი; ზოლას ნიქს უფრო ბრბო იზიდავს, ცხოვრების დამახსიათებელი მოვლენანი და არა ტიპები. მიუხედავათ ამისა ზოლამ რომ დიდი სამსახური გაუწია თავის სამშობლო ლიტერატურასა და ცხოვრებას, და რომ ის საფრანგეთის თანამედროვე ხელოვნების საუკეთესო მედროშეა, ამის უარის მყოფელი მე ბევრი არ ვიცი. არც ერთი ტიპიც რომ არ მოეცა ნინოშვილს, მისი დიდი ღირსება მაინც იმაში მდგომარეობს, რომ მან თავის ხელოვნების საგნათ ამ ტიპიურ მოვლენათა ხატვა გაიხადა და ამით ჩვენ ცხოვრებასა და მის ტენდენციას მკითხველის თვალწინ ფარდა ახადა. მისი უიშვილი, სიმონა, ლაზა, ძალაძე და სხვები თავისთავათ კი არ არიან საყურადღებონი, საყურადღებოა ის პირობანი და ის საზოგადოებრივი წყობილება, რომლებშიაც ისინი ცხოვრობენ; საყურადღებოა მათი დამოკიდებულება ერთმანეთ შორის, საყურადღებოა ის რყევა, რომელიც მათ რწმენა-შეხედულებაში ხდება. ნინოშვილმა უმთავრესი ყურადღება თვით ცხოვრებას მიაქცია და არა ტიპებს; ცხოვრების დამახსიათებელი მოვლენანი ფოტოგრაფიულათ გადმოიღო მან, თუ არა,—ეს კრიტიკისათვის სულ ერთია. კრიტიკისათვის საკმარისია, რომ ავტორმა გააცნო მკითხველს ცხოვრება, ანალიტურ გზას ამოიჩვენა, თუ ფოტოგრაფიულ ხატვას, ეს მისი საქმე იყო, თუმცა სრული შეცდომაა, ვითომც ეს მოვლენანიც ნინოშვილს ფოტოგრაფიულათ გადმოვლოს ცხოვრებიდან. ერთათ ერთი „მოსე მწერალი“ ჰგავს ფოტოგრაფიულ ხელოვნებას და შეიძლება, მართლაც ფოტოგრაფიულათ გადმოეხატოს ავტორს ცხოვრებიდან, მაგრამ ნუ თუ ამით მის ხელოვნებას ღირსება აკლდება, თუ კი ავტორმა იცნო ტიპიური მოვლენა? თუ კი ასეთ მოვლენას ფესვები აქვს გადგმული საქართველოს ყოველ კუთხეში? თუ მწერლის მიერ აღებული მოვლენა საკმაოთ ტიპიურია, ამ მოვლენას ყოველგან შეამჩნევთ ცხოვრებაში; აქედან კი გამოუცდელ მკვლევარს ასე ჰგონია: მოვლენა ფოტოგრაფიულათ არის გადმოხატულიო. როდესაც ვანსვენებული გ. წერეთლის „რუხი მგელი“ დაიბეჭდა, იმერეთში ბევრმა პირებმა საყვედურით მიმართეს ავტორს:

* იხ „კვალი“ № 40.




რა დაგიშავებთ ამის ფასი, რომ „გაზეთში გამოგვიყვანო.“ რაკი რუხი მგელი მე მგავს, გ. წერეთელს სწორეთ მე ვყავდი სახეშია, ჰფიქრობდა ყოველი მათგანი. რასაკვირველია ავტორი უდანაშაულო იყო. ამიტომ როდესაც კრიტიკოსი სახელოვან ნაწარმოებს არჩევს, უმალ ის უნდა იკითხოს, ტიპიური არიან თუ არა ის პირნი და მოვლენანი, რომლებსაც მწერალი ხატავს? მარტო ამას შემდეგ უნდა ეძიოს ავტორის მეთოდი და ფოტოგრაფიულ ხატვას წინააღმდეგ მხოლოდ იქ, სადა ტიპიური არაფერია.

მივმართოთ ახლა სახელოვნო ნაწარმოების იდეას. „ქვემარტი ხელოვნური ნაწარმოები ყოველთვის უეჭველათ რაიმე იდეას ხატავს, მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ ავტორი თავისი ნაწარმის შექმნის და წერის დროს შეუდგა მხოლოდ ამ იდეის ნაწარმოებში გატარებას და ქადაგებას. სრულებითაც არა, პირ-იქით, მხატვარი ამ დროს შეპყრობილია ცხოვრების ცოცხალი სინამდვილით და ისეთი მომხდარი ამბებით, რომლებიდანაც სწორეთ ეს იდეა თავის-თავათ, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გადმომდინარებს და იბადება“, წერს ბ-ნი ხომლელი ხსენებული „კრებულის“ 15 გვერდზე. ასეთი აზრის მარტო ბ-ნი ხომლელი არ არის. ყველა კრიტიკოსები რომ ჩამოვთვალოთ, ასეთი აზრის მომხრე გაცილებით მეტი გამოვა, ვიდრე მოწინააღმდეგე. ამის ერთი უმთავრესი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ პატარა კაცები თუთუყუშვივით ვიმეორებთ ყოველისფერს, რასაც კი დიდი კაცები ამბობენ. დიდი დობროლიუბოვი კი აი რას ამბობს:

„Художественное произведение может быть выражением известной идеи не потому, что авторь задался этой идеей при его создани, а потому что автора его поразили такие факты действительности, изъ которыхъ эта идея вытекаетъ само собой.“

ამასვე ამბობს მეორე დიდი კაცი—ბელინსკი. ასეთ მოძღვრებას რუსეთის ერთი კრიტიკოსი, სკაბიჩევსკი, უწოდებს უნებლიეთი ხელოვნების თეორიას. ამაზე უფრო უაზრო და გაუგებარი თეორია ბევრი არ მოიპოვება კრიტიკის ისტორიაში. ერთი მხრით მწერალისგან ითხოვენ, რომ მის ნაწარმოებში იდეა უსათუოთ იყოს, ამავე დროს სასტიკათ უკრძალავენ: ეს იდეა არამცა და არამც თავში არ იქონიო, როდესაც სახელოვან ნაწარმოებს ქმნი, ის შენ უნებურად, ისე—თავის თავით უნდა გამომდინარებდეს შენ მიერ დახატულ ფაქტში! თუ მწერალს თავში არავითარი იდეა არა აქვს, ნაწარმოები კი იდეიური გამოუდის—ეს ღირსებაა, თუ თავში იდეა აქვს და ნაწარმოებიც იდე-

იური გამოდის, ეს ნაკლულევანება! თუ მწერალი უაზროთ მოქმედებს, როგორც პიოია, ის ქვემარტი მხატვარია, თუ აზრიანათ მოქმედებს, მაშინ უნიჭო და ყალბი მხატვარია! ერთი სიტყვით ეს თეორია მწერალს ავალებს: „ლუწ თუ კენტი“ ითამაშე, დახატე ფაქტები იდეის უძებნელათ და ხელოვანიც მაშინ იქნები, თუ ასეთ ნახატში იდეა აღმოჩნდება. ვიმეორებ, ასეთი თეორია სრული აბსურდია და შეილია იმ შემცდარი აზრის, რომელიც ქადაგებდა: ხელოვნება ხელოვნებისათვის, ხელოვნების მიზანი შევნიერებააო. ამ მოძღვრების მიმდევარისათვის სულ ერთი იყო, იქნებოდა რაიმე აზრი ხელოვნებაში, თუ არა: ის აზრს კი არ ეძებდა და აფასებდა, არამედ შევნიერებას, რომლის გამოსაცნობათაც მას დოგმატიური კანონები ჰქონდა დადგენილი. შეიცვალა დრო; ახალ დროს მოჰყვენ ისეთი მწერლებიც, რომლებიც იდეას ყურადღებას აქცევენ, მაგრამ ამ მწერლების ტრალიზში იმაში მდგომარეობს, რომ ძველი ცრუ-მორწმუნეობაც ვერ მოუშორებიათ ჯერ, ახალი აზრიც ვერ შეუსისხლ-ხორცებიათ; არც ძველს ეშვებიან, არც ახალს, ცდილობენ მათ შეთანხმებას და აქედან შექმნეს ასეთი უაზრო კანონი: იდეა უნდა იყოს ხელოვნებაში, მაგრამ მწერალმა თვითონ არ უნდა გაატაროს, თავის-თავათ უნდა გამომდინარებდეს იმის ნაწარმოებიდანო. ქვემარტი მხატვარი მხოლოდ ისეთ მოვლენებს აიღებს თავისი ნაწარმოების საგნათ, რომლებშიაც იდეას ხედავს; თუ კი ხედავს იდეას, ერთი მიბრძანეთ, რა ნაირათ შეიძლება, თავში არ იქონიოს, სრულებით დაივიწყოს მაშინ, როდესაც ამ მოვლენებს ხატავს? მეორე—შესაძლებელიც რომ იყოს, რათ უნდა დაივიწყოს, რისთვისაო? წარმოიდგინეთ ორი მწერალი, ორივე ერთსა და იმავე მოვლენას ხატავს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ერთი არ ჩაუკვირდა მოვლენას, მისი იდეა არ ამოიკითხა, დაინახა და დახატა; მეორემ ჯერ კარგათ გაშინჯა ეს მოვლენა, დაინახა შიგ საყურადღებო იდეა და მხოლოდ მაშინ დახატა. მეორე მწერალს, რომელიც საზრიანათ მოქმედებს, ყოველთვის მალლა დავაყენებ პირველზე, რომლის ნაწარმოებში იდეა მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის ნაყოფია. წარმოიდგინეთ, რომ მწერალმა კრიტიკოსს დაუჯერა, იდეის ძებნა და მითი ხელმძღვანელობა უკუ ავდო და, რაც დაინახა სინამდვილეში, ყოველიფერი დახატა; აღმოჩნდა, რომ მის ნაწარმოებში არავითარი იდეა არა ყრია. ვის უნდა მივაწეროთ ასეთი გარემოება, მწერლის ნიჭის სისუსტეს, თუ იმას, რომ უხეირო დამრიგებელს დაუჯერა? ასეთი შემთხვევა არა ერთი და ორი იქნებოდა, რომ ხელოვანის შემოქმედებითი



ნიქი ყოველი კრიტიკოსის ახირებულ კანონებს ემორჩილებოდა. შეიძლება მიზახუბონ: ჭეშმარიტი ხელოვანი რასაც დაინახავს, იმას კი არ დახატავს, არამედ ნანახში მხოლოდ ზოგიერთ—საყურადღებოს ამოარჩევს. ასეთი პასუხი უნებურათ შეიცავს იდეით ხელ-მძღვენელობის საჭიროებას. თუ მწერალმა ერთი მოვლენა საყურადღებოთ იცნო, მეორე კი არა, ეს უკვე ნაშნავს იმას, რომ ერთის იდეამ მისი ყურადღება მიიქცია, მეორისამ კი არა. აგრეთვე შესაძლებელია, მიზახუბონ: ჭეშმარიტი ნიქის ზვისება იმაში მდგომარეობს, რომ მას მხოლოდ იდეური მოვლენები იზიდავენ; ამიტომ მისთვის საჭირო არ არის წინდაწინვე იდეის ძებნა, რადგანაც უიდეოს ის ვერ დახატავს. მაგრამ ერთი რომ ჭეშმარიტი ნიქის ასეთი თვისება ჯერ არავე დაუმტკიცებია, ლიტერატურის ისტორია კი ბევრ მაგალითს გვაძლევს იმისას, რომ ნიქიერი მწერლები ხანდა-ხან სრულებით უაზრო ნაწარმოებს გვაწვდიან; მეორე—ასეთი პასუხიდან მაინც არა ჩანს, რას წააგებს ჭეშმარიტი ნიქი, რომ სანამ ფაქტებს დახატავდეს, უმაღლესი იდეა გამოირკვიოს და ის იდეა, რომელიც მან ფაქტებში შენიშნა, მუდამ თვალ-წინ იქონიოს ამ ფაქტების ხატვის დროს?

ვინც ჩემი მსჯელობიდან იმ დასკვნას გამოიყვანს, ვითომც ხელოვანი უნდა გაწვეს ლოგინზე, შეჩერდეს ჭერს, მიიბჯინოს თითი შუბლზე, გამოისახოს რაიმე იდეა, წამოხტეს და კალამს ეცეს, ფრიალ შემცდარი იქნება; შემცდარი იქნება ისიც, ვინც დამწამებს, ვითომც ხელოვანს ჩემი ნებით ვახვედღე სხვა-და-სხვა იდეას: აჰა იდეა და, გინდა თუ არა, წერეთ. ვგრძნობ, რომ როდესაც შენი აზრი სრულათ გამოგიტყვამს, ასეთი განმარტებები საჭირო აღარ არის, რადგანაც მკითხველი თვითონ გაარჩევს, რას ემხრობი და რისი წინააღმდეგი ხარ, მაგრამ სამწუხაროთ ის, რაც სხვაგან ხშირათ საჭირო არ არის, ჩვენში საჭირო ხდება. რუსეთის ერთი ჟურნალისტი ამას წინეთ გულნატკენი წერდა: ჩვენ, რუსების ჟურნალისტებს, ერთი მეორის ღრღნა მოთხოვნილებათ გადაგვექცაო. ქართული ლიტერატურა რომ ცოდნოდა ამ ჟურნალისტს, ღმერთს მადლობას შეწირავდა: მადლობა ღმერთს, რომ სხვაგან ჩვენზე უარესებიც ყოფილანო. ქართველი მწერლები არა თუ ერთი მეორეს ვღრღნიოთ, —თუ ერთმანეთის ნაკლულევენებას შევეცხეთ, როგორც მწერლისას, ერთი მეორეს გადავემტერებით და ისეთ დაბრმავებამდე მივდივართ, რომ ერთმანეთის აზრებში იმას ვხედავთ განზრახ, რაც გაბრაზებული გულისათვის საჭიროა მოპირდაპირეს დასამცირობლათ, და არა იმას, რაც შიგ ნათლათ არის გამოხატული...

ხელოვანმა თავის ფანტაზიაში კი არ უნდა ეძიოს იდეა, არამედ თვით ცხოვრებაში, რადგანაც მისი ასპარეზი სინამდვილეა, როგორც ზემოთ დავინახეთ; ასეც რომ არ იყოს, მკითხველისათვის მხოლოდ ისეთ იდეებსა აქვს მნიშვნელობა, რომლებიც თვით ცხოვრებას წამოუყენებია, ან აღრე თუ გვიან წამოაყენებს. ამიტომ რაკი მწერალმა შენიშნა ცხოვრებაში რაიმე იდეა, მან უნდა გამოიხატოს ამავე ცხოვრებაში შესაფერი ფაქტები, რომ იდეა სახელოვნო ფორმაში ჩამოასხას. ვთქვათ, დებადა მწერალს რაიმე იდეა. რომ გამოხატოს ეს იდეა, ხელოვნური იქნება მისი ნაწარმოები თუ არა? თუ ამ იდეას ნამდვილ ფაქტებს გამოუჩნახავს ცხოვრებაში, ხელოვნური იქნება, თუ კი ფაქტებს თვითონ შეთხზავს, ერთი მეორეზე მიაკოწიწებს თავისი იდეის გასამართლებლათ და ამ გვართ სინამდვილეს დაამახინჯებს, მისი ნაწარმოები ცრუ-ხელოვნება იქნება მხოლოდ. ყველამ ვიცით, რომ გოგოლს იდეა თავისი შესანიშნავი თხზულებისათვის პუშკინმა გადასცა. გოგოლი ჩაუკვირდა ცხოვრებას, წაიკითხა მასში ეს იდეა და კიდევ ჩამოასხა ხელოვნურ ფორმაში. ამ გვართ როგორც ხელოვნური პროცესის წინ, ისე ამ პროცესის დროს გოგოლს იდეა განუშორებლათ თან ახლდა; მაგრამ ნუ თუ „Мертвые души“ ხელოვნება არ არის? აიღეთ ჰაუპტმანის „დამღწვლი ხარა“. ავტორს არც ფერიები უჩნახავს სინამდვილეში, არც ეშმაკები, არც ქაჯები; მან ცხოვრებაში ამოიკითხა მხოლოდ იდეა და ამ იდეის დასახატავათ გამოიყვანა ფერიები, ეშმაკები და ქაჯები. მე არ უარ ვყოფ, რომ თავის დროში ჰაუპტმანმა ცხოვრების ფაქტები შემოიტანა, მაგრამ აღამიანები რომ ფერიებათ და ეშმაკებათ შეცვალა, ეს ცხადათ ანტიკიცებს, რომ ჰაუპტმანი უმთავრეს ყურადღებას იდეას აქცევდა და სახელოვნო პროცესის დროს ამ იდეით ხელ-მძღვენელობდა. მიუხედავათ ამისა ნუ თუ ეს პიესა ხელოვნება არ არის? თუ დავუჯერეთ ბელინსკის, დობროლიუბოვს, და სხვათა, მაშინ ყველა ასეთი თხზულებანი ხელოვნების სამთავროდან უნდა გამოვდევნოთ.

აქედან ისიც ცხადია, რომ კრიტიკოსის მიერ ტემების წერა, თუ კი არიან ასეთი კრიტიკოსები, სრულებით უაზროა. აზრიანიც რომ იყოს, ასეთი საქმე კრიტიკის დანიშნულებას არ შეადგენს, მისი მიზანი სხვა არის.

ივ. გომართელი.
(დასასრული იქნება)

პირველი ლექცია ა. ს. ხახანაშვილი.
(მოსკოვის უნივერსიტეტში წაკითხული)

მ წლის 16 სექტემბრიდან პრივ.-დოცენტმა ა. ხახანაშვილმა დაიწყო ქართული ენის და ისტო-

რის ლექსების კითხვა მოსკოვის უნივერსიტეტში, ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. მხოლოდ პეტერბურგში, აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე, არსებობს კიდევ ქართული ენის კათედრა, სხვაგან არსად, არც ერთ ევროპის ან რუსეთის უნივერსიტეტში ხსენებაც არ არის ქართული ენის. და აი, სწორედ ამ საგანს შეეხო ბ. ა. ხახანაშვილი თავის პირველ, შესავალ ლექსიაში, რომელიც მან წაიკითხა მთელი ფაკულტეტის და დეკანის თანადასწრებით.

ლექტორმა მიზნით აიღო გამოერკვია ის, თუ რა დამოკიდებულება აქვს ქართულ ისტორიას, ლიტერატურას და ენას სხვა ფილოლოგიურ საგნებთან, რათ არის აუცილებელი მათი შესწავლა და რას შეძენს საქართველოს დაახლოვებით გაცნობა მეცნიერებას.

აი მოკლეთ მისი ლექსის შინაარსი.

ქართული ენის ბუნება გამოცანას წარმოადგენს დღემდის მეცნიერებისთვის. მათ არ იციან, რომელ ცნობილ ჯგუფს ეკუთვნის ეს ენა. ევროპაში სხვა-და-სხვა გიპოტეზა არსებობს მისი ბუნების ასახსნელათ, მაგრამ არც ერთი გამოკვლევა მეცნიერულათ არ არის დასაბუთებული. ამის მიზეზია ის, რომ ქართული ენით დაინტერესებულნი ევროპელები (მაგ. პროფესორები ბროსე, ბიურნუფი, მიულლერი, შუხარდტი) ან არ იყვენ იმდენათ გაცნობილნი თვით ენასთან, რომ მოენახათ მისთვის ნამდვილი ადგილი ლინგვისტიკაში, ან თუ ენა იცოდენ, (როგორც მაგ. მე-XVII საუკუნის მისსიონერები), ლინგვისტიკაში სუსტნი იყვენ. ჯერ გადაწყვეტით არ არის გამოთქმული აზრი, რა ადგილი უნდა დაიჭიროს ქართულმა ენამ ქვეყნის ენებში, ეკუთვნის იგი ინდო-ევროპიულ, ან ურალ-ალთაის ჯგუფს, როგორც ამტკიცებდნ ბროსე და მაქს მიულლერი, თუ სრულიად განცალკევებით ჯგუფს წარმოადგეს, როგორც ფიქრობდა ფრიდრიხ მიულლერი. აგრეთვე გამოურკვეველია ქართული ანბანის ბუნება, აქ კიდევ უფრო მეტი სულ სხვა-და-სხვანაირი გიპოტეზა არსებობს. ზოგი ამბობს, რომ იგი წარმოადგება ბერძნულ ანბანიდან, ზოგი—ზენდურიდან, ზოგი—არბულიდან და სხ. ერთმა პროფესორმა, აბიტმა, რომელმაც ძველი ხუცური ანბანი შეისწავლა. წარმოთქვა აზრი, რომ სლოვიანური ანბანი ქართულიდან უნდა წარმოადგებოდესო. ამნაირათ, ქართული ენის შესწავლა ბევრს, დღემდის გაუგებარ კითხვებს, გამოარკვევს ლინგვისტიკაში. არა ნაკლებ საინტერესოა ქართული ლიტერატურა. ერთი მხრით მეხუთე საუკუნიდან მას ეტყობა ბიზანტიის კულტურის გავლენა, მეორე მხრით ქართულმა

პოეზიამ შეითვისა ფანტასტიური ხასიათი, სპარსეთის და არაბეთის ლიტერატურის. არც ერთი ენის არ შეუთანხმებია ასე თავისებურათ ეს ორი სულ სხვა-და-სხვანაირი კულტურა.

მე XI საუკუნეში ქართულმა ლიტერატურამ წარმოშობა ისეთი დიდებული ნაწარმოები, როგორც არის რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ყველა უცხოელი, ვისაც კი წაუკითხავს ეს პოემა, ერთ ხმათ ამტკიცებს, რომ მას პოეტური ღირსებით და ხელოვნური მხატვრობით ზოგიერთ სხვა პოემებთან ერთათ საუკეთესო ადგილი უჭირავს ქვეყნის ლიტერატურაში. ახალი ქართული ლიტერატურა იმყოფება დასავლეთ ევროპის რუსეთის გავლენის ქვეშ, მაგრამ მას არ დაუკარგავს თავისებური, ნაციონალური ხასიათი. ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვა ქართველი პოეტების ნაწარმოებნი, გარდა პოეტური ღირსებისა, დიდათ საინტერესო არიან იმ მხრით, რომ გვაჩვენებენ, თუ როგორ შეითვისა ევროპის განათლება საქართველოს ხალხმა, მისმა ეროვნულმა კულტურამ.

თვით ქართული ისტორია მდიდარ, სრულებით შეუმუშავებელ მასალას წარმოადგენს ისტორიკოსისათვის. ეს პატარა ქვეყანა, რომელიც ბუნებით მონწყვერეული იყო აუარება სხვა რჯულის ხალხთ შორის, ოცი საუკუნე გმირულათ იცავდა მამულს, ეროვნებას და მერე სარწმუნოებას. ამ ხალხის ისტორია ამტკიცებს წინეთ გამოთქმულ აზრს, რომ ფეოდალიზმი იყო არა მარტო ევროპაში, არამედ კავკასიაშიაც სწორედ ამნაირი მოვლენა არსებობდა. მეფე ვახტანგის კანონები, როგორც საფრანგეთის იურისტი დარესტე ამბობს, შევნიერ წყაროს წარმოადგენს იმის შესასწავლათ, თუ რა იყვენ ისტორიის პირველ საფეხურზე ბერძნები, რომაელები, რუსები და სკანდინაველები.

საქართველოს ისტორია საინტერესოა არა მარტო სპეციალისტათვის. მათ, ვისაც ევროპის ან რუსეთის წარსულის გაცნობა სურთ, იგი ბევრ რასმეს აუხსნის და გაუთვალისწინებს. უძველეს დროიდან დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს რომთან და საბერძნეთთან, აქ ხვდებოდნ და იცნობდენ ერთმანეთს ევროპის და აზიის ხალხები, ტოვებდენ თავის კვალს. ქართულ კანონ-მდებლობაში, როგორც ლიტერატურაში, შეთანხმებულია ბიზანტიის კულტურის ხასიათი სპარსელ-არაბულ ხასიათთან. ამ გავლენას ქვეშ შემუშავდა თანდათან როგორც თვითონ საქართველოს წესწყობილება, ისე მეზობელ მთიულ ხალხებისაც. განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ხალხური პოეზია. მე-XII საუკუნის გმირული ეპოსი,

ზოგიერთის აზრით, წარმოადგენს ზევრ მზგავსებას ევროპის რაინდულ ეპოსთან. არსებობს აზრი, რომ ქართულმა ხალხურმა ეპოსმა დიდი გავლენა იქონია რუსულზე.

„მე-XIX საუკუნის განმავლობაში“, ასე დაათვა ა. ხახანაშვილმა თავისი ლექცია, „რუსეთის პოეტებმა შეამკეს დიდებული და შვენიერი საქართველოს ბუნება, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მე-XX საუკუნის რუსეთის მეცნიერნი ახლიან ბნელ ფარდას, რომელიც ჰფარავს მისი შვილების გონებრივ და სულიერ საუნჯეს, შეგროვილს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. ეს საუნჯე შიგ ჩამარხულ იდეთაუც და გარეგანი ფორმიტაუც დამოკიდებულია სამშობლო ენაზე და შეადგენს საქართველოს ერის „წმიდათა-წმიდას“.

ი. წ.

ბასუხი ბ-ნ ლალს.

ქურონალ „მომხის“ უკანასკნელ ნომერში ბ. ლალს ნიშნში ამოუღია ჭიათურის წვრილ მრეწველთა ზარტია და ეფუძლად უსამართლოთ და უსაბუთოთ მიწასთან გვასწორებს.*) სამაგიეროთ აქებს და ადიდებს ბ. ზდანოვიჩს, „რომელმაც სწორეთ სიტყვებზე ჩაბუძრა და სწორე გზაზე დააყენა ახალი მრეწველობა“ ამას ამბობს, მაგრამ კარგათ ჩაუგვირდეთ აბა ერთი მის საქმეებს და შუამდგომლობათა, მადლობა დმერთს ევკლას ეს დაბეჭდილია და ხელ-მასწავლობი.

ზირველი საქმე, რომელსაც ხელი მოჭკიდა ბ. ზდანოვიჩმა, იყო კაზიდეულ მარგანეცზე დაწესებულ გადასახადის საბჭოსთვის გადაცემა. 11 ივნისს 1896 წ. კაზიდეულამ ამის შესახებ საშინისტროში თხოვნა (ევკლასზე ნაკლებ შეიძლება ჩავთვალოთ ეს „შეგნებურად დასაბუთებულად“) ბ. ზდანოვიჩმა; შემდეგ ორჯერ მოაგონა ეს შუამდგომლობა ერთხელ ქ. გუბერნატორს, მეორეთ სამთო დეპარტამენტის დირექტორს, და (თქვენივე სიტყვით) „ეს თხოვნა შეწყნარებულ იქნა 1898 წ. 2 თებ.; ფაქტიურათ გადასახადი გადასცეს საბჭოს 1898 წ. ნოემბერში.“ განა ეს არის „ორი წელიწად ნახევარი დაუდასტოვი მეცადინობა?“ ამას ჭკვია „დიდი მეცადინობა?“

მეორე დიდი საქმე—ეს ტარიფზე შვიდი კაპეიკის დაკლება იყო. ვერ ვიტყვით, რომ არ ემცადინოს, არ ეწეროს ქადაგებები ამისთვის ბ. ზდანოვიჩს, მაგრამ ვინ არ იცის დღეს (თქვენც ხომ იცით,) რომ „ამოდ მიდიოდა ევკლასი“, რომ არა შემთხვევითი დახმარება მისი იმპერატორებითი უმადლესობის მიხედვით ნიკოლოზისძის, რომლის რესკრიპტის გავლენით დაუკლეს ტარიფს და

*) „სულიელური დაყინებით“, „პამპულებით“, „ქარაფშუტებით“, „ფუქსავატებით“ და სხ.

ისიც ვი კაპეიკი მხოლოთ. ვთქვათ, არიან დამარცხდები ბედი მიზეზები. დიდი მიზეზებიც, მაგრამ თუ თქვენმა მრეწველებამ ვერ მოგვაშორა ეს მიზეზები, თქვენ შეგიძლიათ დაიტრახათ, ხედავთ ჩემი მოდგვაწება რა ნაყოფიერი არის!?

ამით ამაყოფით და კაიძხით: „მარტო ეს ორი საქმე რომ გაკეთებინა საბჭოს, მაშინაც მისი ღვაწლი დიდი(!) იქნებოდა მრეწველთა წინაშე?“

1896 წელს კრებამ მიანდო საბჭოს წარედგინა დასამტეიციებლათ საშინისტროში კრების მიერ მიღებული „წესდება ზღაპტფორმების და ვაგონების გამანაწილებელი კომიტეტის“. წესდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მრეწველთათვის (თქვენც დაგვითანხმებით ამაში), მაგრამ შუამდგომლობა ამის შესახებ არ იქნა დაკმაყოფილებული და წესდება დაუმტეიციებელი დარჩა.

ამავე წელს საბჭომ მიმართა სახელმწიფო ქონებათა მინისტრს შუამდგომლობით: 1) კანთავისუფლებულ იქმნას სამადნო ზოლიცის საზოგადო ზოლიცის მოვალეობათა აღსრულებისკან და შემუშავებულ იქმნას ინსტრუქცია სამადნო ზედამხედველობის მოწყობისათვის. 2) დაასრდეს სამთო სასწავლებელი ქუთ. გუბერნიაში. 3) დაენიშნოს სამთო საოლქო ინჟენერს თანაშემწე. საშინისტრომ შეიწყნარა უკანასკნელი თხოვნა, ზირველი და მეორე კი დარჩა დაუმყოფილებელი.

ბევრი შუამდგომლობა ადრეს საბჭომ გამოიდავ საშუალებათა და საწყობი ადგილების შესახებ. რომ უფრო ცხადათ წარმოვიდგინოთ საბჭოს შრომის ნაყოფიერობა ამ მხრივ, სხემატიურათ ერთ გვერდზე დაგწერთ თუ რა შუამდგომლობანი აღუძრავს საბჭოს, მეორეზე — თუ რა შედეგი მოჭკვია მათ.

როგორი იყო შუამდგომლობა?	დაკმაყოფილებულია თუ არა?
30 აგვ. 96 წ. საბჭომ თხოვა გზათა მინისტრს:	
1. რკინის გზის გაგრძელება საჩხერემდე ან დარკვეთამდე შინც	კი
2. რკინის ხიდის გაკეთება ყვირილაზე კიათურაში	არა
3. დახურული პლატფორმების გამართვა	არა
4. პლატფორმების დაშრობა და წყლის გასაყვანი არხების გაკეთება პლატფორმების ახლოს	კი
5. გზების გაკეთება პლატფორმების შუა	კი
6. ქვის გამგზავნელთ დაუკლონ წონაში 60% (რომელიც უღრის სისველეს) 6 თვის განმავლობაში	არა
7. დახურული ვაგონების გაკეთება	არა
8. უმთავრეს ლინიაზე ქვის ზიდვა წარმოებდეს 750 ფუთ. ვაგონებში	ასეთ ვაგონებით არსებობს ზიდვა, მოიწერეს.
9. კიათურაში პლატფორმების მომატება	არა

ქოს საკვირველის მხნეობით დაუცავს მრეწველობისა და მრეწველთა ინტერესები“, „საბჭომ ისეთი დიდი და მნიშვნელობიანი საქმეები დასრულა მთელი ხანში, რომ სწორეთ სიცოცხლე ჩაჭებრა და სწორ გზაზე დაყენა ახალი მრეწველობა“. აი თვალთმაქცობა ამას ჰქვია!

კრების ზრდაში იყენ ავიღეთ მხლეთ რამდენიმე კითხვა, რომლებიც ზირდაზირ შეეხებიან წვრილ მწარმოებლებს, და მათ მივაქციეთ ჩვენი უმთავრესი ყურადღება. ბ. ზღანოვის განცხადებას ამ კითხვებში უკანასკნელი ადგილი ეკავა, რომ ეს ასე იყო, შეგიძლიათ გაიგოთ ბეგრი ჩვენი მოწინააღმდეგე ზარტის წევრებისგან.

„ეგვლა საუურადღებო საგნები თვით საბჭომ აღძრა და მისი ინიციატივით განხორციელდა“ — ამბობთ. ნუ თუ საუურადღებო საგანი არ არის თქვენი აზრით საბჭოს ქიათურში გადატანა (აბოციციის მიერ წამოყენებული) ან ზღატორების და გაგნების განწილების წესის შეცვლა (სამინისტროს მიერ შეტანილი ზრდაში)? „აბოციციის თავისი წვლილი, მცირედით კი, არ შეუტანია არც ერთ საუურადღებო საქმეში“, წერთ და მოკვავთ ამის დასასბუთებლათ ოთხი საგანი, რომლებსაც თქვენ ასეთ უზინატესობას აძლევთ (რისთვის!) და უურადღებოთ ტოვებთ სხვებს, როგორც ქიათურის ზოსდათ გადაკეთებას, ქსენონის კრებისთვის გადაცემას და სხ.

„გაიჩნა ასეთი დიდი საქმე, როგორც მუშების უფარცხოვრების გაუმჯობესება, მაგრამ აბოციციის წინამძღოლთ ერთი აზრი, ერთი ნათელი მოსაზრება არ წარმოუდგენიათ“. სირცხვილია, ბ. ჯალო, სირცხვილი, რომ ასე აშკარა ტყუალს ამბობთ! განა ზირდაზირ არ წერია „იგერიის“ 169 № ში, მეორე გვ. მესუთე სვეტში და მესამე გვ. მეორე სვეტში, რომ აბოციციამ წამოაყენა და მისი შემწეობით გადაწედა: გაიმართლს მუშებისათვის სამკითხველო, საკვირაო სკოლა, კითხვა — სუბრები, თატრი, იაფი სასაღილოები; რომ მრეწველები მუშებს შაბათობით გაუსწორდენ და კვირა დღეებით გაათავისუფლდნ ესენიო? „გაიჩნა საუურადღებო საქმე მარკანეტას ხარისხ-ხარისხათ დაყოფის შესახებ“, და უკიოინებთ ჩვენს აზრს: კარგი ხარისხის საქანელია, თუ ცუდის, ჩემი საქმეა, გინდათ იუიღეთ და გინდათ არა. საგნის გაუგებლობას გვწამებთ ჩვენ და სრულიად უურადღებოთ დაგიტოვებთ ბ. ზღანოვის სიტყვები, კრებაზე წარმოთქმული: „შავი-ქვის ხარისხ-ხარისხათ დაყოფის შესახებ ბასი ზირველათ არ არის აღძრული. საბჭოს ამ საგნის შესახებ განსაკუთრებული თათბირი ჰქანდა, მაგრამ ერთ გადაწევატელ აზრს ვერ დაადგა. ამას კარდა საბჭომ თხოვა კერძო მრეწველთ, სამთო დეპარტამენტსაც, მაგრამ განსაზღვრული შეხედულობა მაინც ვერ შეადგინა“ (იხ. „იგ.“ № 184, გვ. 3. სვ. 2). „გაიჩნა დიდ მნიშვნელობიანი საქმე მანების სატენი-

კო ზედამხედველობის მოწეობის შესახებ; აბოციციამ ვერ გაიგო, საქმე რაშიაო“. ჩვენ არ ამოწერთ უადგილობის გამო აბოციციის წევრების ნაღაზარაკვეს, რომ დაგიტოვებთ, თუ სხვებს გაეგებდათ რამე, გაეგებდათ იმათაც. მხლეთ მოკიუფანთ ბ. ზღანოვის სიტყვები: „უნდა მოგახსენოთ, რომ საბჭოს ამ საგნის შესახებ ვერ გარკვეული შეხედულობა არ შეუდგენიაო“ რა უნდა ვთქვათ იმ საბჭოზე, რომელსაც კითხვა შეაქვს ზრდაში და გარკვეული შეხედულობა კი არა აქვს ამ კითხვაზე?! შეიძლება, ბ. ჯალო, საბჭოსკენ მიმართული ისარი, შეცდომით ჩვენ გვესრულეთ? „ერთათ ერთი საგანი, რომელსაც აბოციცია ჩაუბლაუჭა, იყო ზღატორების (და ვაგნების) განწილება, მაგრამ ვაი ამისთანა ჩაბლაუჭებასაც... შეადგინეს ზრდატეტი, რომლის თავი და ბალო თვითონაც არ ესმდათ“ — ამბობთ და მოკვავთ ამის საბუთათ ემერიკის დაცინვა. მაგრამ ემერიკის კი არა, რომელიც არაფერ საშუალებას არ ზოგავდა ეგვლაფერ მის საწინააღმდეგოს დასამხობათ, მოვიუფანოთ უფრო ავტორიტეტულას ამ საქმეში, კრების თავმჯდომარის, ჩენგერის სიტყვები, — ხლო არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზრდატეტს ზრინციზალორი მნიშვნელობა ჰქანდა და მისი დაწვრილებით შემუშავება, ზრინციზის განვითარება, კრების თუ საგანებო კომისიის საქმე იყო. ჩენგერი ამბობს: ზრდატეტის ზრინციზის წინააღმდეგ ორი აზრი იყო წარმოთქმული: 1) ის არღვევს მისვილების ინტერესებს წვრილების სასარგებლოთ, 2) მრეწველების მისვილებათ და წვრილებათ დაყოფა არ ეთანხმება რკინის გზების წესდებისა. ზირველ აზრს ჩენგერი უსაბუთოთ თვლას, მეორეს საბუთიანათ, მაგრამ ამ მხრითაც არ ხედავს ზრდატეტისათვის აუცილებელ დაბრკოლებას „В. гор. д. и ор. на кав.“ № 10³⁾..

რაც შეეხება არჩვენების კითხვას, ამაზედაც ვიღაზარაკეთ წინეთ. არავისი სურვილის ამსრულებელნი ჩვენ არ ვიყავით... და საით იყო „სამარცხინო აკიტაცია“, ჩვენი თუ ჩვენ მოწინააღმდეგე ზარტიან მხარეზე, ამის საბუთებმა თუ ვერ მოადწიეს თქვენ ყურამდის; „ადგილობრივი გამოძიება“ მაინც მოახდინეთ, რომ გაიგოთ ნამდვილი!..

არა, ბ. ჯალო, არ გეძლევათ საბუთი ჩვენი ღანძღვა გინებისათვის. არც ჩვენი, არც ჩვენ მოწინააღმდეგეთა მოქმედება თქვენ არ გარწმუნებთ, რომ ჩვენ გული არ შეგვეტევიოდა საქმისთვის — და გამსტვალული ვიყავით ერთი მიზანით, აკიტაცია გამოგვეწვია ბ. ზღანოვის წინააღმდეგ. ეგვლაფერი შეგიძლიათ გვითხრათ, მაგრამ ის კი ვერა, — საქმისთვის გული არ შეგეტევიოდათ. გვიჩვენეთ ჩვენი შეცდომები, მაგრამ არა გაქვთ უფლება ჩვენ ზნეობას შეეხოთ, — რომ ჩვენ გულწრფელნი არ ვიყავით ჩვენს მოქმედებაში და ვიღაცების ჩავრებით

³⁾ კრულიტის შესახებ ჩვენ უკვე ვთქვით სხვა ალაგას.

გმტკმედებდით! ეს მეტი მეტი აშკარა ტყუილია, ეს საზიზღარი ცილის წამებას!

განა ვინც დღემდის არ გამოსულა საზოგადო საზარეზოზე, არაფერი გაუკეთებია ჯერ, აწ მანამ არ გამოვიდეს და გააკეთოს რამე, არ შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის საღაროში? ან გვინათ, რომ თქვენი და თქვენ თანამრატრეთა მონებლია იუოს საზოგადო საქმის, ქვეყნის და ერისადმი სიუფარული?.. არა, ბ. ლალო ჩვენცა გვაქვს უფლება გვიუარდეს საზოგადო საქმე, ჩვენც შეგვიძლია ვიდვაროთ მისთვის!..

P. S. გვინდოდა ერთათ ბ. კ. აბაშიძისთვისაც გვეხსენებოდა (იხ. მისი „იმერეთის საქმეში“, ივ. № 213), მაგრამ რა უნდა უთხრათ იმ ზიოს, რომლის ღაზაზაკი სიზმარში მყოფ ადამიანის ბოღვას მოგატკნებთ. „ჩვენი ერის უველა ნაწილი და უოველი კლასი და წოდება გადაგვარების ნიშნებს გვიჩვენებს“. არ გვივირის: კაცო რომ დაბერდება, ახალი ცხოვრება გადაგვარებათ მოეხვენება⁴). „სინიღისისა და გონიერებისათვის უნდა ელაღატნა კაცს, რომ ბ. ნიკოლაძის წინააღმდეგ რამე ეთქვათ“. აბა ერთი კითხოს თვით ბ. ზდანოვიჩს, რა აზრის არის ამის შესახებ?

ს. ფირცხალავა.

წერილი რედაქციის მიმართ

ზაზ. „კვალის“ მე-39 №-ში წავიკითხეთ წერილი დ. უფრილიდან იქაური წიგნთ-საცავის შესახებ, რომელიც თავიდან ბოლომდის სიმართლეს მოკლებულია.

ძლიან უკიდურესობაში მდინართ, ბატონო ჩემო, როდესაც ბრძანებთ: — „განათლებულ ქალს გარეყნიდს ეძახიან ზოგიერთ დაბებში და ასეთია უფრილიცა“ — ასეთი უკუღმართი შეხედულების ხალხი ჩვენ არც სხვა დაბებში გვეკულება და არც უფრილაში გახლავთ. თუ კი ამ გვარი შეხედულების იუვენ აქაური ვაჭრები და მცხოვრებლები, რადათ მიაბარებდენ თავის ქალიშვილებს სასწავლებლებში და რადათ ეცდებოდენ საქალებო ორ-გასიანი სასწავლებლის დაარსებას, რაც უკვე გადაწყვიტეს და ნებართვათ მიიღეს? სრულიად არავის გავიჩვენებია მმართველათ ქალის დანიშვნა უფრილაში და რაც ის დანიშნა მას შემდეგ არათუ ბევრმა დახება თავი წიგნთ-საცავში სიარულს, როგორც თქვენ ბრძანებთ, არამედ შესამჩნევათ იმატა იქ მოსიარულეების რიცხვმა.

საჩივრის წიგნი იმიტომ კი არ შემოიღეს, რომ ქალი იყო მმართველათ, — არამედ იმიტომ რომ მმართველს თავისი მოვალეობა შეეგბო და იქ ჩაწერილი შენიშვნებით თავისი შეცდომები გაესწორებია. თქვენ ფაქტობთ, რომ წინეთ არ ყოფილა საჩივრის წიგნი, მაგრამ ცდებით ამაში, ჩემ დროს უკეთესი საჩივრის წიგნი იყო —

⁴) ამ მხრივ ყველას გადააჭარბა ბ. ვაშაყიძემ („ივეროია“ 218 და 219 №№): მას უკვე მეორეთ მოსვლა ელანდება!

წუნალ-გაზტობა — სადაც ათას ნაირ ჭორებს მანვედვი თავზე და მოსვენებას არ მადევედენ. ახლა თუ იწერება საჩივარი, ისევე იმათგან ვინც დაასრსა წიგნთ-საცავი და ვინც დააუენა მმართველათ ქ-ნი ბ — ძე.

თქვენ ამბობთ: „რაც არაფერი მიუბარებიათ, რას თხოვენ მმართველს, ორი-სამი წუნალი თუ გამოუწერიათ ესენი ხომ უველაფერი უკლებლათ არისო!“ — განა ეს მართალია? თქვენ თუ არ გცოდნიათ რაც დავიდარბა და დამცირება გამოიარა ჩვენმა საშკითხველამ, უფრიღის საზოგადოებას მანინც ჰკითხეთ და ის გეტყვიოთ. თუ არაფერი აკლია, მამ სად არის უულაბა ფულიანი, რომელშიაც ჩვენი აზგარიშით (რასაკვირველია, დასლფუებით) ათი მანეთი მანინც უნდა ყოფილიყო?! სად არის იმდენი ძველი გაზეთები, რომლებს თითოეულ ნომრებათ გადათვლაზე, ორი გირვანქა მტვერი უგემებია თქვენს უმორჩილეს მონას?! თქვენ თუ არ იცით, მე გამოგზოვთ: — უფრიღის ერთ ვაჭართან, რომელსაც რადაც მანქანებით ჩავარდნია ხელში გირვანქა ორ კანკიკათ.

ჩვენ გვაქვს სია იმისი, რაც გადაუცეთ ახალ გამოგობას, რომელიც შემოწმებულია კრებისაგან. მომავალ კრებაზე წარმოვადგენთ და მოვითხოვთ რაც ჩავაბარეთ.

დასასრულ, ბ-ხო „სიზო“, საიდან გაიგებთ ის, რომ ვითომ წრემ დაასრსა წიგნის მღაზია და სტამბა? — ვინ მოგცათ თქვენ იმისი უფლება, რომ კაცს თავისი საკუთრება წართვათ და სხვას მიაკუთნოთ? წიგნის მღაზია მე გავხსენი 1895 წელში და რამდენსამე წელს შემდეგ გადაუცეი მ. გაჩეილასქეს, სტამბა კი მან გახსნა ამ წელში. აქ წრე არაფერ შუაშია და ტყუილათ ნუ აზიკებისართ ამ წრეს.

ალ. არაბიძე.

უცდომის გასწორება

„კვალის“ უკანასკნელი ნომრის მოწინავე წერილში ორ ალაგას ციკრებია არეული. მე-646 გვ დაბეჭდილია: „1899 წ. აღწერით შავი-ქვის მრეწველთა რიცხვი ყოფილა 990“, უნდა იყოს: „1899 წ. აღწერით შავი-ქვის მრეწველთა რიცხვი ყოფილა 290“. — მე-647 გვ. დაბეჭდილია: „81 მეკენჭე ყოფილა წერილი და ჰქონებიათ 163 ხმა“, უნდა იყოს: „81 მეკენჭე ყოფილა წერილი და ჰქონებია 103 ხმა“.

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ის იჯარით განსცემს ქალაქის ოთხ მღაზიას, ბაზრის ქუჩის ბოლოს, ალექსანდროვის ბაღთან.

ვისაც სურს იჯარით აიღოს ეს მღაზიები, უნდა განუცხადოს თავისი პირობები ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში.

(3—1)

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.